სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

152

სამშაბათი 4 ივნისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უგზავნის და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

[illegible] Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე, რედაქციისა და კონტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 113 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 113

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზურგეთის სამაზრო ლტოლვილთა კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და თანამგრძნობთ ამავე კომიტეტის წევრის

**ვიქტორ ხელაძის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

ძალუნა, სოფიო, ბარბარე, ბერტა—დოლიძეები; მაკა, ალექსანდრე, მელქისადექ, ფატუშა და ვიქტორ სიხარულიძეები; თეოდორა ცინცაძე თავისი შვილებით გულითადი მწუხარებით ვიზიარებთ ბათუმში შეტევის დროს, სამშობლოსთვის გმირულად დაღუპულ კაპიტან

**ონისიმე (შუტია) ზაქარიას ძე დოლიძის**

გულ-დათუთქულ მშობლების მწუხარებას და ვსტირით შუტიას უდროვოთ დაკარგვას და მის საერთო საქმისადმი მოწყვეტას.

დიდათ დამწუხრებული ძმები: ანდრო, გიგო სონღულაშვილები და განსვენებულის და და სიძე: ალექსანდრე, მარიამ ქიმერაშვილები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 2 ივნისს, ვერაგულათ იქმნა მოკლული

**ზაქარია (შაქრო) მოსეს ძე სონღულაშვილი.**

დაკრძალვა მოხდება 6 ივნისს სოფ. დ[illegible]ლომში.

ღრმად დამწუხრებულნი მამიდა სოფიო ზურაბის ასული ქმარ-შვილით: ედიშერ ანდრიას ძე, ვანო, მიშა ნატაშა და მაშო ჭიაურელები აცნობებენ ნათესავთ და [illegible], რომ 2 ივნისს [illegible] იქმნა მოკლული

**ზაქარია (შაქრო) მოსეს ძე სონღულაშვილი.**

დაკრძალვა მოხდება სოფელ დ[illegible]ლომში 6 ივნისს.

გულდამწვარი ქმარი ალექსანდრე ედიშერის ძე ჭიაურელი, მამამთილი ედიშერ ანდრიას ძე, და დედამთილი სოფიო ზურაბის ასული შვილებით: მიშა, ვანო, ნატაშა და მაშო ჭიაურელები აცნობენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 2 ივნისს ვერაგულათ იქნა მოკლული

**მარიამ თედორეს ასული ჭიაურელისა.**

ცხედარს გამოასვენებენ ალექს. ქუჩ. № 11, ალექს. ნევის ეკლესიაში 11 საათზე, სამშაბათს 4 ივნისს.

## ანარქიასთან ბრძოლა

ჯერ კიდევ ბლომათ მოიპოვებიან ჩვენში [illegible]დურის აზრების მქადაგებელი პირები. [illegible]თ მუდამ ენაზე აკერიათ სოციალიზმი და [რევ]ოლიუცია, ყოველ გზა ჯვარედინზე იმას [გაჰ]ძახიან მუშათა და გლეხთა მთავრობა უნ[და] დავამყაროთ და ბურჟუა-კაპიტალისტები [და] მემამულეები ავლაგოთო. ამ ლოზუნგებით მოღვაწეობდენ ისინი ქუთაისში, სადაც ძარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიეს, ასე არევოლიუციონერებდენ და ასოციალისტებდენ ისინი ხალხს თელავში, გორში და ცხინვალში, სადაც თავაშვებულ ძარცვით ისახელეს თავი და ხალხისთვის თავდადებულ მებრძოლთა სისხლში გაისვარეს ხელები. რაჭა-ლეჩხუმი ხომ სულ მოსწყვიტეს ქუთაისის გუბერნიას. ასევე მოქმედებდენ ისინი სამეგრელოში და სოხუმში. და ეს იმ დროს, როცა ოსმალეთი ჩვენ ქვეყანას დაპყრობით ემუქრება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის ოლქი დღეს ოსმალეთის ხელში არ იქნებოდა, ჩვენს ცრუ რევოლიუციონერებს და ცრუ სოციალისტებს რომ არ აელელვებიათ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ნაძირალებთან ერთად ბრძოლის ალში არ გაეხვიათ ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხე. ოსმალეთის საფრთხე დღეს კიდევ უფრო ახლოს არის, რადგან მის ჯარს ოზურგეთი უჭირავს და ახალციხესაც ემუქრება. ამ დროს ჩრდილოეთ-კავკასიის ბოლშევიკები ჩვენებურ ბოლშევიკების დახმარებით დარიალის ხეობას აწვებიან და საქართველოს სამხედრო გზით ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრას.

როგორ უნდა შეხვდეს ამ ამბებს ჩვენი ხალხი? მართალია, ხალხის ბევრი საარსებო საჭიროებანი დაუკმაყოფილებელია, მაგრამ ხალხმა არ უნდა დაივიწყოს, რომ უკიდურესი მოთხოვნები კიდევ უფრო გაართულებენ მის მდგომარეობას და ცხოვრების გაუმჯობესებას შეუძლებლათ გახდიან. უკიდურესი მოთხოვნებით დააუძლურეს ფინლიანდიის დემოკრატია, უკიდურესმა მოთხოვნებმა დალუპა თავისუფლება უკრაინაში. საბჭოთა რესპუბლიკით დაიწყო იქ საქმე, სოციალიზაციის განხორციელება მოინდომეს და გეტმანობა, მონარქია კი იქნა აღდგენილი.

დღეს ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ. ოსმალეთს ჩვენი სრული დაპყრობა აქვს გადაწყვეტილი: უწესოებების მოხდენა კიდევ უფრო დაასუსტებს ჩვენს სამხედრო ძალას. ოსმალეთს გარდა ჩვენში ეკონომიური ინტერესები აქვს გერმანიას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა იცნო. მაგრამ გერმანიამ უკრაინის დამოუკიდებლობაც იცნო, ხოლო როცა უკრაინამ ვერ შესძლო წეს-რიგის დამყარება, გერმანიამ თითონ დაამყარა იქ წესიერება. ასეთივე ჩარევაა მოსალოდნელი ჩვენი ქვეყნის საქმეებშიაც, თუ ჩვენ ვერ შევსძლებით წეს-რიგის დამყარება. ამ ნაირათ კითხვა ასეა დასმული: თუ სოციალიზმს წავეპოტინებით, ანარქიას გავაძლიერებთ და ჩვენს ქვეყანაში გარეშე სახელმწიფოს ჩარევას დავაჩქარებთ, რითაც ხელ ფეხი შეგვეკვრება და სოციალიზმის ნაცვლათ საშინელს რეაქციას მივიღებთ; ხოლო თუ წინდახედულათ ვიმოქმედებთ და ლამაზ სიტყვებს არ ავყვებით, დამოუკიდებლობას შევირჩენთ და მომავლისთვის გზას გავიკაფავთ.

ჩვენ მივმართავთ ხალხის სიდინჯეს და გონიერებას: თავისუფლება განსაცდელშია. დემოკრატია ვალდებულია რევოლიუციონურ ორგანიზაციების გარშემო შემოკრბეს და ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას ზურგი გაუმაგროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყველაფერს დაკარგავს და საშინელს რეაქციას გაიბატონებს.

## ახალციხე და ახალქალაქი

ჩვენი ხალხის დიდმა ნაწილმა არც კი იცის, თუ რას წარმოადგენს საქართველოსთვის ახალციხე—ახალქალაქი. საუბედუროთ ჩვენს მოწინავე საზოგადოებასაც არ აქვს ამ მაზრების შესახებ სწორი შეხედულობა. მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ვიცით, რომ ახალციხის მაზრა—ეს ძველი მესხეთია, ხოლო ახალქალაქი—ჯავახეთი: ოდესღაც ამ მხარეში ყვაოდა ქართული კულტურა, აქ დაიბადენ ცნობილი ქართველი მოღვაწენი და პოეტები მათ შორის დიდებული შოთა რუსთაველი. რამდენიმე ასი წლის წინათ ეს კუთხეები მოგლიჯა ჩვენს ქვეყანას ოსმალეთმა და ცეცხლითა და მახვილით შეუდგა მათს გამაჰმადიანებას და გადაგვარებას.

დღეს ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებთა უმრავლესობას სომხობა შეადგენს, თუმცა ქართველებიც ბლომათ არიან. ახალციხის მაზრაში თუმცა მაჰმადიანები შეადგენენ უმრავლესობას, მაგრამ—ესენი ქართველი მაჰმადიანებია—ქართველები ტომით, ენით და ზნე ჩვეულებით.

მაგრამ ამ ორი მაზრის მთავარი მნიშვნელობა მარტო ამაში როდია. მათ აქვთ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. ახალციხე საკმაოთ ძლიერი სიმაგრეა, ის გასაღებია ბორჯომის ხეობის. ვინაც ახალციხე და ახალციხის მაზრა უჭირავს, მას შეძლება აქვს, რამდენიმე საათში ჩავიდეს ბორჯომში და იქიდან ხაშურის შეწყვეტით რკინის გზას დაეპატრონოს, ხაშურიდან კი რამდენიმე საათის სავალით სურამის მთის [illegible]. ახალციხის მხარეში აგრეთვე მშვენიერი საგარაო ადგილი აბასთუმანი საიდანაც მტერს შეუძლია ზეკარის ულელტეხილს დაეპატრონოს და შემდეგ ბაღდადით ქუთაისს მიადგეს. ერთის სიტყვით, ახალციხის მაზრის ხელში ჩაგდებით ოსმალეთი მთელი საქართველოს ბედის ბატონი იქნება.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ახალქალაქსაც. აქედან მშვენიერი გზა მოდის მანგლისით თფილისზე. საკმაოა მტერს ახალქალაქი ეპყრას ხელთ, რომ ის რამდენიმე დღის განმავლობაში თფილისს მიადგეს. არავითარი დამაბრკოლებელი ბუნებრივი ზღუდე ახალქალაქ თფილისს შუა არ არსებობს.

გარდა ამისა ახალქალაქს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ეს კუთხე იგივეა ჩვენთვის, რაც ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ადგილები რუსეთისათვის. მარტო ახალქალაქის მაზრას შეუძლია მოიყვანოს იმდენი პური, რამდენიც მთელ საქართველოს გამოსაკვებათ საკმაო იქნება.

დღეს ამ ორ მაზრის ტერიტორიაზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ახალციხე დიდი ხანია ბრძოლის ველათ არის გადაქცეული, თითქმის ორი თვე იქნება, რაც ჩვენი რაზმი თავგანწირულათ იბრძვის ახალციხის მიდამოებში გამომწყვდეული. არ იქნა დროზე ვერ მივაშველეთ ჯარი, რომ დაგვეხსნა ახალციხის რაზმი და მასთან ერთად გადაგვერჩინა მთელი მაზრა. დღეს ახალციხის რაზმი განსაცდელშია და თუ დროზე არ მივეშველეთ, შესაძლებელია, ის გატყდეს, მტერს დანებდეს და მთელი საქართველო საფრთხეში ჩავარდება.

როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ბრძოლა იწყება აგრეთვე ახალქალაქის მაზრის რაიონშიაც: იქ ოსმალოს ჯარი წამოსულა სოფ. კარწახიდან და სოფ. სულდას უახლოვდება, საიდანაც ახალქალაქამდის სულ ერთი დღის სავალია...

ასეთია მდგომარეობა ახალციხე-ახალქალაქის რაიონებში.

ვიმეორებთ, საქართველოს დამოუკიდებლობას საშინელი საფრთხე მოელის აქედან და საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიაქციონ, ვისგანაც ჯერ არს.

## პრესა

სოციალდემოკრატიულ გაზეთ „ბორბაში" ამხ. ვლ. ვ. ეხება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ პოლიტიკას და სამართლიანათ აღნიშნავს, რომ სოციალდემოკრატიამ ინტერნაციონალურ პოლიტიკას არ უნდა გადაუხვიოს. ის სხვათა შორის სწერს:

„ქართველმა ხალხმა თავისი განსაკუთრებული ბედნიერი მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის მსხვერპლათ არ უნდა შესწიროს იმ მოჩვენებითს სარგებლობას, რომელსაც „ეროვნული" პოლიტიკა უქადის.

უბედურ სომეხ ლტოლვილთათვის საზღვრების დაკეტვა, რუსეთის მიერ შექმნილ კულტურულ დაწესებულებათა დანგრევა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებრივი შევიწროვება და რაიმე ექსცესები მუსულმანების მიმართ—ჩქარა შექმნიან საქართველოს რესპუბლიკის გარშემო უკმაყოფილოთა წრეს.

ახალ რესპუბლიკის შენობაზე აფრიალებულია ქართველი ხალხის ეროვნული დროშა. მაგრამ მის გვერდით და მის ზევით უნდა ფრიალებდეს დროშა საერთაშორისო სოციალიზმის და რევოლიუციისა".

ჩვენ ერთ კითხვას გვიბადებს ეს ამონაწერი: რომელ რუსულ კულტურულ დაწესებულებებზეა აქ ლაპარაკი, რომლის დანგრევას ვითომ ცდილობენ. ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ დაწესებულებების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა აუცილებლათ მიგვაჩნია, ეს კი ბევრ რუსს მოხელეს შეავიწროვებს. ჩვენ ვშიშობთ, ამხ. ვლ. ვ. წერილი იმ არ გაიგონ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა, ვითომ მომავალშიაც შესაძლებელი იქნება მათთვის უპირატესობების შენარჩუნება.

გარდა ამისა, რას ნიშნავს სიტყვები: ახალ რესპუბლიკის შენობაზე აფრიალებულია ქართველ ხალხის ეროვნული დროშაო. ჯერ ერთი ეროვნული დროშა ხომ საფრთხობელა არაა თავის თავად და მეორე—რად ბაძავს ამხ. ვლ. ვ. „[illegible]" [illegible] რუს მკითხველებს ყალბ ცნობას: სად ნახა მან ეროვნული დროშა?

## საფრანგეთის მდგომარეობა

გერმანიის ჯარები პარიზს უახლოვდებიან. როგორც ეტყობა, ამ შეტევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. პარიზის აღება—ეს მთელი საფრანგეთის დაპყრობაა. იმავე დროს ეს კლემანსოს სამინისტროს დამარცხებაა. ჟორჟ კლემანსო ყველაზე უფრო იდგა ბრძოლის გუნებაზე და თავის გაზეთში სასტიკ აგიტაციას ეწეოდა გერმანიის წინააღმდეგ. ხოლო გერმანელების დასამარცხებლათ მას ჰქონდა ერთი „უებარი" საშუალება. „მინისტრი ბრძანებს—სხვები უსიტყვოთ ასრულებენ ამ ბრძანებას". კლემანსოს სიტყვით რომ ვთქვათ, საჭირო იყო მაგარი ცენტრალისტური ადმინისტრაცია კლემანსოს გაბატონების შემდეგ სოციალისტები სამინისტროდან გავიდენ. ამან დაარღვია „ნაციონალური ერთობა" გარეშე მტრის წინაშე. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, მუშების წინააღმდეგ კლემანსომ სასტიკ ზომებს მიმართა და მუშების გამოსვლა მან თოფ-იარაღით ჩაახშო. ამით ის ომამდის უკვე სახელგატეხილი დემოკრატიის თვალში, სამუდამოთ დაეცა და ორგანიზაციის მაგიერ საფრანგეთის სოციალურ ცხოვრებაში სრული არევ-დარევა გაბატონდა.

ძნელია იმის თქმა, თუ რა მოჰყვება საფრანგეთის დღევანდელ დამარცხებას. თითონ მთავრობა დაადგება ზავის გზას, თუ მოხდება სახელმწიფო გადატრიალება. უფრო მოსალოდნელია უკანასკნელი. ამ საერთაშორისო ომს უსათუოთ უნდა მოჰყვეს უდიდესი ცვლილება—სოციალ-პოლიტიკური, მთელს ევროპაში. ვისაც ეს არ სწამს, იმას ვერ შეუგნია მთელი დღევანდელი მდგომარეობის ისტორიული მსვლელობა. ასეთ პირობებში ყველა მოწინავე პარტია, განსაკუთრებით პატარა ერებში მომქმედი, ვალდებულია მთელი თავისი უნარი მოახმაროს ძალების შენარჩუნებას. არა ხელსაყრელ პირობებში ომი და თავის ძალების განადგურება—ეს ღალატია მთელი პროგრესიული მსვლელობისთვის.

მართალია, რუსეთის რევოლიუცია განადგურებულია. ადვილათ შეიძლება, რომ უკრაინიდან იწყებოდეს რესტავრაცია და ნაწილ-ნაწილად აღსდგეს რუსეთში ძველი წეს-წყობილება. მაგრამ ეს ისტორიულ მსვლელობას ვერ შეაჩერებს. ერთხელ ჩამოგდებული მეფე ადვილათ ვერ ავა ტახტზე და თუ ავიდა, ადვილათ ჩამოვარდება. ამის მაგალითები ბევრი მოგვცა ინგლისმა და საფრანგეთმა. მიუხედავათ ჩვენი უკიდურესი მდგომარეობისა, ჰესიმიზმი ჩვენთვის სრულებით უადგილოა დროებითი დამარცხება გულს სრულებით არ გვიტეხს. ფარულად, თითქოს შეუმჩნევლად, მთელი ევროპა ახალ გზას ადგება. „ისტორიული თხუნელა კარგად მუშაობს". ის უცბად გამოჩნდება მიწის ზედაპირზე. ამას ჩვენ ველით. ეჭვი არაა დიდი ცვლილების მოწამენი უნდა გავხდეთ. შეიძლება მონაწილეც შევიქნეთ ამ ცვლილებების, თუ არსებობა და რევოლიუციური ძალა-ენერგია შევინარჩუნეთ.

ბ. თეკვათელი.

## საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი ნაციონალისტები

ნაციონალისტთა ბანაკში დღეს დიდი ზეიმია. ყველა აღტაცებაშია მოსული; უსაზღვრო სიხარულსა და ალმაფრენას ეძლევიან. ბ. იაკალაძე თავდავიწყებამდე მისულა მეტის-მეტი სიამოვნებით, იგი მზათ არის ემბოროს და გადაკოცნოს ყველა, ვინც ქუჩაში შეხვდება, სულ ერთია, სომეხი იქნება იგი, თათარი თუ სხვა ვინმე. გაზ. „საქართველო" კიდევ უფრო შორს მიდის. მისი აზრით აწი საჭირო არ არის არც რევოლიუციონური ორგანიზაციები, არც რევოლიუციონური პარტიები. ერთი სიტყვით, რევოლიუცია უკვე ზედმეტ ბარგათ გამხდარა და დროა ქართველმა ხალხმა მას თავი დაახწიოს, სიტყვა „რევოლიუციონერი" სამუდამოთ ამოიშალოს დემოკრატიის ლექსიკონიდან. ნაციონალ-დემოკრატებს არც ჩვენი სოც. ფედერალისტები ჩამორჩენ. ისინიც თავს ბედნიერათ გრძნობენ და დაუფიქრებლად ჩაებენ სადღესასწაულო ფერხულში. „სახალხო საქმე"-ში ვიღაც ლ. მეტრეველი პათეთიურის ხმით ევედრება უფალს: აღსრულდა, აწ განუტევე, უფალო, სული ჩემი.

ერთი სიტყვით, ყველა ჯურის ნაციონალისტები გაერთიანდენ, მათი ბანაკი სადღესასწაულოთ არის მორთული, უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობენ და სიხარულის ცრემლებს უხვათ აფრქვევენ. და როცა თვალ-ყურს ადევნებ ნაციონალისტთა ამ დღესასწაულს, ადამიანს გეგონება, თითქოს დღევანდელი უკუღმართი მდგომარეობა მართლაც შეცვლილიყოს ფართო მასის სასარგებლოდ, თითქოს საერთაშორისო სისხლის ღვრას, უდანაშაულო მოძმეთა ხოცვა-ჟლეტას უკვე მოეღო ბოლო, ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება დამყარდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი ეს ჯერ არ მომხდარა, ძმათა შორის სისხლის ღვრა კვლავ გრძელდება, კვლავ ნადგურდება საუკუნოებით შექმნილი კულტურა და ჩვენი სამშობლოც კრიტიკულ მდგომარეობაშია, მას საშინელი საფრთხე მოელის გარეშე მტერთა ურდოებისაგან.

მაშ, რაშია საქმე, რა მოხდა? რამ გამოიწვია ნაციონალისტთა შორის უსაზღვრო სიხარული ამ სისხლის წვიმების დროს. რათ გრძნობენ თავს ბედნიერათ ჩვენი ნაციონალისტები მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ომის ალშია გახვეული, რომელიც მას ჩანთქვას უქადის?

სხვადასხვა ისტორიულ მიზეზების გამო, რომელთა გარკვევას აუცილებლათ ხელი შეუწყო ბოლშევიკების გამოსვლამ, რუსეთის რევოლიუციამ ვერ მიიღო ისეთი მიმართულება, როგორც მოითხოვდა დემოკრატიის ინტერესები და იგი დღეს შეიძლება დამარცხებულათ ჩაითვალოს, დემოკრატიამ დაჰკარგა თავის პოზიციები და მთელი რუსეთი ანარქიამ მოიცვა.

ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზათ იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, დღეს იძულებული შეიქნა თავის მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა. ერთის მხრით საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და მეორეს მხრით ამიერ-კავკასიის მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართველი დემოკრატია გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

აი სწორედ ამ გარემოების, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების გამო ეძლევიან ჩვენი ნაციონალისტები უსაზღვრო სიხარულს.

შეუძლია ქართველ დემოკრატიას ნაციონალისტებთან ერთად [illegible] ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღესასწაულო ზეიმში? ცხადია არა, იმიტომ რომ ქართველ დემოკრატიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავის მიზნისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობა მის მიზანს არ შეადგენდა, ვინაიდან მან კარგათ იცოდა, რომ ისეთ პატარა ერი, როგორიც არის ქართველობა, დამოუკიდებლათ არსებობა დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილების დროს არ შეუძლია და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებასაც დღევანდელ პირობებში დემოკრატია უცქერის როგორც იძულებით ნაბიჯს, გარეშე ძალთა მიერ ნაკარნახევს, როგორც საშუალებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართველ ერის ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებას. და როცა ეს საშუალება გაქრის, როცა საქართველო თავიდან აიშორებს გარეშე მტერთაგან განადგურებისა და დაპყრობის საფრთხეს, რაც აუცილებლად გულისხმობს საერთაშორისო ომის დასრულებას, ქართველი დემოკრატიაც მაშინ, მხოლოდ მაშინ მიეცემა ზეიმს, მხოლოდ მაშინ გადაიხდის დღესასწაულს და ამ დღესასწაულის სიდიადეს, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუშლის საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინაიდან ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენს პროგრამაში აღნიშნულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. პირიქით, მაშინ ეს დამოუკიდებლობაც მართლა სადღესასწაულო ფაქტათ გადიქცევა.

დღეს კი, როცა შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო ჩვენს მომავალს დიდი კითხვითი ნიშანი აქვს დასმული, როცა გარეშე თუ შინაური მტრები განადგურებით გვემუქრებიან და ქართველი დემოკრატია კვლავ იძულებულია იარაღი აისხას და საბედისწერო ბრძოლა აწარმოოს, იგი სრულის შეგნებით შეხვდება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა მისი მიზანი, ვერ მიეცემა ბავშვურ ნაადრევ სიხარულს.

ქართველი დემოკრატიის დღესასწაული სულ სხვა დროს და სხვა პირობებში გათენდება.

ვ. ნიკურაძე.

## საქართვ. სამხედრო გზაზე

დარიალის რაზმის უფროსს პოლკოვნიკ აბესაძისაგან ყაზბეგიდან გუბერნიის კომისარმა ქ. ჯაფარიძემ 2 ივნისს შემდეგი ცნობა მიიღო: „31 მაისს, საღამოს 6 საათზე, ჩვენთან მოვიდნენ ბოლშევიკების მიერ გამოგზავნილი პარლამენტიორები და მოითხოვეს, რომ დარიალი დაგვეცალა. პასუხს მოითხოვდნენ 45 წუთის განმავლობაში. ამის საპასუხოდ 1 ივნისს, დილის 8 საათზე, ჩვენი რაზმის მოწინავე ნაწილი შეტევაზე გადავიდა დარიალის ხიდით და ტყვეთ წამოიყვანა ბოლშევიკების რაზმის წინა ნაწილი. ბოლშევიკები არ მოელოდნენ ასე უეცრად თავდასხმას, ამიტომ „პანიკამ" მოიცვა დარჩენილი ჯარი, რომელიც გაიფანტა. ჩვენები სროლით დაედევნენ გაქცეულთ. ბოლშევიკებმა რამდენიმე მოკლული დასტოვეს. მოკლულია იმათი კომისარი მიხეილ კრასოვი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 27 კაცი ვინტოვკებით, ხელში ჩაგვვარდა ერთი ტყვიისმფრქვეველი ლენტებით და რამოდენიმე ათასი პატრონი. ჩვენ მსუბუქათ დაგვიჭრეს 3, მოგვიკლეს ცხენი. ბრძოლამ დილის 4 საათამდე გასტანა. ბრძოლის გათავებისას მათ მოიტანეს ორი ზარბაზანი და დაგვიწყეს სროლა. მთელი ერთი საათის განმავლობაში გვესროდნენ უშედეგოთ. ჩვენს შეკითხვაზე — [illegible] და კარგი მეომრები ხართ — ერთმა ტყვეთაგანმა, თედორე პატაკოვმა, მიპასუხა: რა ჯარია ჩვენი ჯარი? მე „მონიაკი" ვარ, სხვები ჩემზე უარესები არიანო. ჩვენ გვიკავია ამ ჟამად მთელი ჩვენი ტერიტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გმირობა შტ. კაპ. სპირ. ფირცხელაურისა, პორ. ოქროპირიძესი, პრაპ. ალ. მჭედლიშვილის, პრაპ. მიხ. მაჭავარიანის, ვოლნოოპრ. ტორბეევის და ჯარისკაცის ალ. აროშვილიძის, რომელმაც ჩვენდა დასანახათ მოწინააღმდეგის ზანაკიდან გამოიტანა ტყვიისმფრქვეველი იმ დროს, როცა მოწინააღმდეგე გაცხარებით ისროდა.

საღამოთი ხელახლა გამოგვიგზავნეს პარლამენტიორი — ყაზახთა ოფიცერი, რომელმაც მოგვთხოვა დაგვეცალა დარიალის ხეობა. ჩვენ შესაფერი პასუხი გავეცით".

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

2 ივნისი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის რაიონში მტერი საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდა. მიდტოლ-იაფის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაზვერვა მოახდინეს. მესოპოტამიის ფრონტზე ჩვენმა აღმოსავლეთის ჯარებმა [illegible].

**პარიზი.** ოფიციალური [illegible] სული დღე ღამის განმავლობაში მთელს ფრონტზე უაზისა და მარნის შორის ნემცებმა ძლიერი იერიშები მიიტანეს. საფრანგეთის ჯარებმა სრულიად ზოგიერთ ადგილებში დაიხიეს. მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. უაზის და ენის შუა ფრანგებმა გადაიტანეს თავიანთი პოზიციები [illegible] ტყის ჩრდილოეთით და ოდინი კურტის და ფონტენუას აღმოსავლეთით. ამათ [illegible] ნემცების ცდა, რომ აღმოსავლეთით და სამხრეთით სუასონისა წამოწეულიყვნენ ვიერ-ზის ცეხის მიმართულებით. სამხრეთით, განსაკუთრებით, ურსის ნაპირად დიდი ბრძოლა გაჩაღდა. გერმანელებმა დაიკავეს შონი და ნეილი. საფრანგეთის ჯარებს პოზიციები უკავია შატო-ტიერთან. მარნის ჩრდილო ნაპირად დორმან-რეიმსის რაიონში ჩვენს ჯარებს გამაგრებული აქვს პოზიციები, მოუხედავათ გერმანელთა სასტიკი იერიშებისა. რეიმსის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჯავშნიანი ავტომობილებით სასტიკი იერიშები მიიტანეს გერმანელებმა და ფრანგები ტომპელის ფორტიდან განდევნეს. კონტრ-იერიშებით აქ წინანდელი მდგომარეობა შევინარჩუნეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ 200 კაცი და წამოვიღეთ 4 ავტომობილი.

**მოსკოვის** რადიო-სადგურმა შემდეგი დეპეშა დაიჭირა ფრანგულ ენაზე პარიზში გაგზავნილი: ამ ჟამად რუსეთისთვის დაკარგულია პურის ბეღელი, რომელსაც უკრაინა წარმოადგენდა. პურის ფქვილის საწყობებს ყუბანისა და დონის ოლქებში კონტრ-რევოლიუციონური ბანდები" ემუქრებიან. თავის თავად ეს „ბანდები" არავითარ რეალურ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ იმედი აქვთ უცხო სახელმწიფოთა ძალების დახმარებით მოიმხრონ რუსის ხალხის ფართო მასსა.

**შვეციით** მიღებული ცნობა: საფრანგეთის დიდი გაზეთები შეწუხებულნი არიან გერმანელების გამარჯვებით. მათ მეტად აწუხებს რკინის გზების ბედი შალონისა და პარიზის მიმართულებით. გაზეთ „ტაიმსის" აზრითაც საფრანგეთის ბედი სასწორზეა დადებული. „გოლოს კიევა"-ს აზრით მახვილი მიმართულია საფრანგეთის გულისაკენ.

**ქრისტიანია.** ამერიკის ცენზურამ დაიკავა 80 ჟურნალი და დღიური გაზეთი. ამაში შედის 45 სოციალისტური გაზეთი.

**ბერლინი.** ბრძოლით ჩვენ გავამაგრეთ ნუაიონიდან შატო-ტიერამდე მდებარე ოლქის ფრონტი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. მთელ ფრონტზე გაცხოველებული საარტილერიო სროლაა. იპრის სამხრეთით მოწინააღმდეგეს ნაწილობრივმა შეტევამ მიზანს ვერ მიაღწია. უაზის სამხრეთით და ენის სამხრეთ დასავლეთით გენერალ გოფმანის ჯარებმა დაიკავეს მტრის გამაგრებული პოზიციები, რომლებიც მდებარეობენ კოსის ახლოს და პლერან-კურტას სამხრეთით. ნაწილობრივი ბრძოლის საშუალებით ჩვენ მივაღწიეთ ჩრდილოეთის მხარეზე ენნემდის და ნუვრონ ფონტენუამდის. საფრანგეთის კონტრ-იერიშები მოიტანეს საფრანგეთის ჯარმა სუასონ-ხერტენის გზაზე მყოფ ჩვენს ჯარზე, მაგრამ ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ გათავდა. ჩვენ შევავიწროვეთ უკუქცეული მტერი და [illegible] მისდიეთ. მდინარე ურსის ორივე მხარეზე ჩვენ გადავედით სუასონ-შატონ-ტიერის გზაზე და მივაღწიეთ მოწინააღმდეგის ახალ ხაზამდე ნეილის აღმოსავლეთით და შატო-ტიერის ჩრდილოეთით. გუშინდელ შეტევის დროს ხელთ ვიგდეთ ბევრი ტყვე და სამხედრო ნადავლი.

3 ივნისი.

**პარიზი.** ურკიდან მარნამდე მთელი დღე სასტიკი ბრძოლა იყო. აქ ნემცებმა დიდძალი ჯარი მოიყვანეს. ფრანგებმა დიდის მეცადინეობით შეაკავეს ზოგიერთ ალაგას ნემცების შემოტევა. ნემცებმა ხელმეორეთ შესძლეს ფავროლის აღება, მაგრამ მათი შემოტევა კორსისა და ტრუაზნზე უშედეგოთ დამთავრდა. ნეილის და სანფრონის აღმოსავლეთით ფრანგებმა კონტრ იერიშით ნემცები პასსი ან ვალუამდე გარეკეს. 163 სიმაღლე ცხარე ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა დაიბრუნეს. სამხრეთით კორსი—ბურეშს ფრონტზე ნემცების იერიშები მოვიგერიეთ. მარჯვენა ფრთაზე ფრანგებმა დაიბრუნეს შამ პლა.

**ბერლინი.** ინგლისელების იერიშები ლისის სამხრეთით და ალბერტის ჩრდილოეთით უშედეგოთ დამთავრდა. ნუაიონის სამხრეთით ჩვენ მტერს დავახვედრეთ, მიუხედავათ იმისა, რომ მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ჩვენ დავიკავეთ მულენ-სუ-ტუვენის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობები. მდ. ურსის ნაპირებზე მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ და ის გავრეკეთ სავერს იქით და დავიკავეთ პასსი და კურშამპის სიმაღლენი. მარნაზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მარნის ჩრდილო ნაპირზე მდებარე შატოტიერი მტერმა დასტოვა. ჩრდილო-აღმოსავლეთით ვირმეილისა და მდ. არდრას ორივე ნაპირებზე მოვიგერიეთ ფრანგების კონტრ იერიშები. რეიმსის აღმოსავლეთით ჩვენ გადავედით ფრანგების სანგრებში და წამოვიყვანეთ ფორტ გომპელის „კომანდა". ფერ-ან-ტარდენუას ხაზზე ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ნახევარ მილიონზე მეტი ყუმბარა, მრავალი საინჟინერო ქონება და ათასზე მეტი ურემი.

**ვენა.** მთის ფრონტზე ბევრ ადგილებში გაცხარებული საარტილერიო სროლაა. პიავეს შესართავის რაიონში დღის ნაწილ დღევს იტალიელთა ერთი იერიში მოვიგერიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის ახლოს მტერი ზარბაზნებიდან ესროდა ჩვენს პოზიციებს და მის უკანა მდებარე ადგილებს. იერუსალიმ-ნაბლუსის გზაზე დასავლეთის მიმართულებით ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის არტილერია, რომელიც ხელთ ჩავიგდეთ. იორდანეს რაიონში უმნიშვნელო შეტაკებები ხდება. ვადი [illegible] და [illegible] ახლოს აჯანყებულნი გაფანტულ იქნენ, რომლებმაც მრავალი დასტოვეს პირუტყვი.

მესოპოტამიის ფრონტზე გუშინ მტრის ერთი აეროპლანი ჩამოვაგდეთ.

## მთავრობის ცნობა

ოფიციალური ცნობების მიხედვით 3 ივნისის შუადღის 2 საათამდე არც ერთ ფრონტზე დროებითი შერიგება არ დარღვეულა. საზავო მოლაპარაკება გრძელდება.

## დეპეშები

**სურამის** ქალაქის საბჭომ მორიგ კრებაზე შაბათს, პირველ ივნისს მოისმინა რა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ ერთხმად დაადგინა: „საბჭო აღფრთოვანებულია ამ დიდი აქტით, მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს უყოყმანო დახმარებას ამ დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. დაევალოს თავმჯდომარეს ეს დადგენილება დეპეშით *) აცნობოს მთავრობას."

საბჭოს თავმჯ. სარდიონ მამალაძე.

**ჭიათურა.** მოსამსახურეთა სახელით მივესალმებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას. იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ქართველ ხალხს აღორძინების გზაზე გამოიყვანს.

ჭიათურის ხაზინის მოსამსახურეთა ადმას. კომიტეტი.

## ახალი ამბები

**ოსმალეთის ულტიმატუმი.** ოსმალეთმა ჩვენს მთავრობას შემდეგი ულტიმატუმი წამოუყენა: დაუყონებლივ გადმოგვეცით რკინის გზა ჯარების გადასაყვანათ, რაც შეეხება საზღვრების შესწორებას, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთო. გერმანიის წარმომადგენელმა დეპეშით უპასუხა ოსმალეთის მთავრობას, რომ საქართველოს მთავრობასთან დადებული პირობის ძალით მხოლოდ მას, გერმანიას შეუძლია ჯარების გადაყვანის ნება მისცეს ოსმალეთს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. ამის შესახებ გუშინ, 3 ივნისს საგანგებოდ მოხდა საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება დახურულ კარებში.

**ბრძოლა ახალქალაქის მაზრაში.** ბორჯომიდან იტყობინებიან: 2 ივნისს დილიდანვე ოსმალოთა [illegible] ჯარმა სოფ. კარწახთან, რომელიც ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით 25 ვერსის მანძილზე მდებარეობს, გადმოლახა 1877 წლის საზღვრები და ბრძოლით წინ მოიწევს. სომხების ჯარმა ბრძოლის შემდეგ სოფ. სულდასკენ დაიხია, რომელიც 15 ვერსზეა დაშორებული ახალქალაქიდან. ამ ჟამად [illegible] მიდამოებში, არტაანის შარა გზაზე, გაცხარებული ბრძოლაა. სომხების ჯარს მიეშველა ჯავახეთის ქართული რაზმი. ოსმალოთა ჯარები მოდიან არტილერიით.

**„ზნამია ტრუდას" დროებით შეჩერება.** შინაგან საქმეთა მინისტრის [illegible] ებით შეაჩერა „ზნამია ტრუდა" — მე 101 ნომერში მოთავსებულ წერილის გამო: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება". საერთოდ ამ გაზეთმა უკანასკნელ ხანებში ისეთი კილოთი დაიწყო წერა, რისაც შეძლება ეროვნული შუღლის გაღვივება მოყვეს.

**საბურთალოელთა თათრები** ამ უკანასკნელათ მეტად თავაშვებულნი არიან: ძალზე ავიწროვებენ იქაურ მებაღეებს, [illegible] ქართველ მწყემსებს და [illegible] ემუქრებიან — ამბობენ, მალე ჩვენი იქნება მთელი საბურთალოო. ბავშვებითურთ ყველა შეიარაღებულია და შიშის ზარს სცემენ იქაურ ქართველ მებაღეებს და მწყემსებს. საჭიროა დაუყონებლივ იარაღი აჰყარონ მათ და იქაურმა კომისარმა მეტი უნარი გამოიჩინოს მათ ასალაგმავათ.

**მარტვილის რაიონში** იარაღის აყრის საქმე კარგათ მიდის. ბოლშევიკებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სალხინოს საზოგადოებაში ბოლშევიკებს შეტაკება ჰქონდათ მფრინავ რაზმთან. ბოლშევიკები გარეკილ იქნენ. ნაწილი ბოლშევიკებისა შეუერთდა კინჩხათის საზოგადოებაში მომქმედ „ბანდებს", ნაწილიც ზუგდიდის მაზრაში გადავიდა. (ა. დ. ს.).

× **სამხედრო მინისტრის** მოხსენებით დროებითი სამხედრო უწყების დაარსების შესახებ მთავრობამ მიიღო პროექტი, რომლის მიხედვითაც სამხედრო მმართველობის სათავეში სამხედრო მინისტრი იქნება. მმართველობას დაექვემდებარება შემდეგი დაწესებულებანი და პირნი: სამხედრო მინისტრი, მისი ამხანაგი, სამინისტრო და კანცელარია; მინისტრის ამხანაგი იმავე დროს მთავარ-სარდალი იქნება, ჯარის მმართველობა 2 კატეგორიად იყოფა: 1) საველე შტაბი და 2) მთავარი შტაბი. საველე შტაბს ევალება ჯარის გაწრთვნა, თანამდებობაზე დანიშვნა და სამხედრო ხარისხების მიცემა. მასთან იქნება სურსათის და იარაღის მიმწოდებელ დაწესებულების უფროსის კანცელარია (ინფანტერია, არტილერია, საინჟინერო და საინტენდანტო). საველე შტაბი მშვიდობიან დროს ის შედგება, რომ მუდამ მზად იქნება ომისთვის. მთავარი შტაბი აკადემიური დაწესებულებაა, მას დაკისრებული ექნება ზურგის ფუნქციების შესრულება, სახელმწიფოს დაცვა, მობილიზაცია, ტოპოგრაფია, კანონ-პროექტების შემუშავება და სხვა. პროექტის მიღებისთანავე მთავრობამ დაადგინა ხოშტარიას მთავარ-სარდლის ეხლავე მიახდინოს აღნიშნული რეორგანიზაცია და დანიშნული მოხსენება წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო კომისიას.

*) ეს პირველი დეპეშაა, რომელიც ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქართულად დაწერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ.

◆ **საქართველოს დელეგაციამ** ბათუმში საჩქაროდ გაიწვია ახალგაზრდა ისტორიკოსი და არქეოლოგი პ. ინგოროყვა, რომელიც კვირას, 2 ივნისს სწრაფი მატარებლით უკვე გაემგზავრა ბათუმში.

◆ **ადგილობრივ გერმანულ წყაროებიდან** მიღებულ ცნობებით თფილისში ამ დღეებში ჩამოვა გერმანელთა მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილი, რომელიც ამ ჟამად ფოთშია. იმავე წყაროებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით გერმანიაში შეუიარაღებიათ ქართველი სამხედრო ტყვეები, გაუწრთვნიათ და საქართველოში გამოუგზავნიათ.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის** გამოცხადების გამო ლიტველთა კავკასიის საბჭომ აცნობა მთავრობას, რომ დროებით, ფორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარებამდე ლიტვისა და საქართველოს მთავრობათა შორის, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ლიტველთა ინტერესების დასაცავათ და ლიტვის წარმომადგენლად თვით საბჭო იქნება, რაც უკვე ეცნობა ლიტვის მთავრობას ვილნოში.

◆ **იუსტიციის მინისტრის** ამხანაგად გ. გვლესიანი დაინიშნა.

◆ **ეროვნულ სამხედრო ნაწილთა** დათხოვნილ დაწესებულებათა მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად მთავრობამ დაადგინა ფინანსთა მინისტრს დაევალოს კომისია შეადგინოს სახაზინო პალატის გამგის თავმჯდომარეობით და სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა** კლუბი გაიხსნა 2 ივნისს, საზეიმო სხდომა გახსნა სტ. ვოლსკიმ. წაკითხულ იქნა მრავალი მილოცვები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. ბოლოს გაიმართა მრავალფეროვანი საღამო.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** საქმეთა მმართველად დაინიშნა ივ. ჯაფარიძე (ს. დ.); მის თანაშემწედ ილია ზურაბიშვილი (ერ. დემ.).

◆ **სწავლა-განათლების სამინისტროში** წინადადება შეიტანეს 1 გიმნაზიაში საღამოს კურსების გახსნის შესახებ, რომლებზედაც ქართულ ენას ასწავლიან არა ქართველებს.

◆ **ეროვნულ საბჭოს** [illegible] დაინიშნენ დავ. ნახუცრიშვილი და დ. ხოშტარია.

◆ **სწავლა-განათლების სამინისტროს** ინიციატივით 2 ივნისს შედგა საგანგებო თათბირი გ. ლასხიშვილის მონაწილეობით. განხილული იქნა სამოსწავლო კომისარიატის გაუქმების და სხვა საკითხები.

◆ **ყალბი ფულები.** მე 9 კომისარიატის მილიციონერებმა აღმოაჩინეს ყალბი ფულის მჭრელები არ. ტერ-არუთინოვი, პეტრ. პოლოსოვი, ოჰან. ალიხვერდოვი, კარ. ალიხვერდოვი, ვრამონ სუსონი და არტ. ტერ-მარტიროსოვი. ქალაქში აღმოაჩინეს მათ მიერ გამოშვებულ 155,920 მანეთი ფული, სხვადასხვა ბლანკები, პასპორტები და სხვა. ორ მათგანს გაუძარცვავთ და მოუკლავთ „სასახლის ნომრებში" თავის ამხანაგი, რომლის ლეშიც ქუთაისში გაუგზავნიათ ბაგაჟით.

◆ 2 ივნისს ღამე ავლაბრის მე-2 შესახვევში მოკლეს არტ. აკოფოვი.

◆ **სასურსათო სამინისტროს** ქართველ მოხელეთა კავშირმა თავის დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც მოხდა ამა წლის 31 მაისს მოისმინა რა მოხსენება მომენტის შესახებ, ერთხმათ დაადგინა: ეცნობოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს შემდეგი: სასურსათო სამინისტროს ქართველ მოხელეთა კავშირის დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ეროვნულ საბჭოს სახით ულოცავს ქართველ ერს ამ დიად ისტორიულ აქტს; ამასთანავე კრება სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს პირველ ეროვნულ მთავრობას და მზათ არის თავგამოდებით ემსახუროს მას სამშობლოს აღორძინების საქმეში.

ორი თვის წინათ კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს იქ ვნახე ქართველი სამხედრო ტყვეები ივანე დიდია და თუხარელი. იმ ხანათ ორივენი კარგათ იყვნენ და რადგან მოულოდნელათ მომიხდა წამოსვლა, წერილი და ადრესი ვერ გადმომცეს, რომ მეცნობებინა მშობლებისთვის მათი ამბავი.

კონსტანტინოპოლშივე არის ჩარჩენილი ომის დასაწყისიდან [illegible], ხოლო მისი ცოლ-შვილი იმყოფება საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი ამბავი არ მოსვლია ცოლ-შვილისაგან, და მეტათ სწუხს. თითონ კარგათ არის, თუ ვინმემ იცის [illegible] ცოლ-შვილის ამბავი ან ადრესი, ვთხოვ მაცნობოს. ნაძალადევში უნდა იმყოფებოდეს ბათუმში ჩარჩენილ დომენტი ვადაჭკორიას ცოლ-შვილი. საჭიროა მათი ადრესი და ვინც იცის, მაცნობოს. „ერთობის" რედაქციაში.

სოლომონ ვადაჭკორია.

2 ივნისი, 1918 წ.
თფილისი.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია თფილისის კომიტეტის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია პროფესიონალური კავშირთა საბჭოს სხდომა.

— დღეს 7 საათზე, მელიქოვის ქალის მაღაზიაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, შედგება სხდომა მცირე კოლექტივისა.

## პროვინციის ქრონიკა

**ლეჩხუმი.** ამ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ლეჩხუმი ქუთაისს მოწყვეტილია. ამ მაზრამ თავი თითონ გამოაცხადა კანონ გარეშე. დასწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები, გააფუჭეს ხიდები და რაჭასაც საშუალება წაართვეს ქუთაისთან დამოკიდებულებისა. შემოწმებული არ არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობები, რომელიც ლეჩხუმის ეხლანდელ ვითარებას ასე ახასიათებს: ჯარის-კაცებმა დაატყვევეს რამოდენიმე ხულიგანი. ეხლა ეს პირები ციხიდან გაუპარებიათ და ცაგერიდან გაპარულა ამბროსი პირველიც. გაპარული ამბროსი პირველი ჯარის-კაცებს შეუპყრიათ და ეხლა ცაგერის ციხეში უნდა იჯდეს. ამ უკანასკნელი ამბების დროს მოხდა სამი მკვლელობა. მოკლული არიან ორი ჩექოვანი და ერთი გელები ჩინარიძე. („ს.-დ".)

**ხოფ. წყემში** (ზონის რაიონი) 27 მაისს შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი დატრიალდა: ქორწილში ქეიფობის დროს პლატონ სართანიას რევოლვერი გაუვარდა, ტყვია დედოფალს მოხვდა თავში და იქვე სული გააცხებია საწყალს, სამაგიეროთ შეზარხოშებულმა ყმაწვილებმა სართანია იქვე „გაასამართლეს" და ნაკუწ ნაკუწად დაჭრეს. ამისთანა მოვლენები ხშირია სამეგრელოში. საჭიროა საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ზომა მიიღოს [illegible] ვაჟბატონების წინააღმდეგ.

## ქუთაისის ამ-ბარში

მუშათა პროფესიონალური კავშირები

მკითხველს მოეხსენება, რომ ქუთაისში არ არის მსხვილი წარმოება განვითარებული. აქ უფრო წვრილ ხელოსნურ წარმოებას აქვს ადგილი. ამიტომაც არის, რომ აღებული ცალ-ცალკე თვითეული არაფერია, წვრილთა სიმრავლით ძლიერ მოიკუსტებს.

რევოლიუციის პირველ დღეებში, მუშათა საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ყველა პროფესიებში შეექმნა პროფესიონალური კავშირი. რამოდენიმე დღის შემდეგ კომისიამ აღრიცხა მუშაობა და გამოირკვა, რომ ქუთაისში 30 მეტი მუშათა პროფესია ყოფილა. კომისიამ საჭიროთ დაინახა მონათესავე პროფესიები შეერთებინა, რათა უფრო ძლიერი კავშირები შექმნილიყო. ეს მოხდა, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ პროფესიებთან შეთანხმებით. და ამ შეერთების შემდეგ უკვე ჩამოყალიბდა 10 პროფესიონალური კავშირი, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას.

პირველ ხანებში პროფესიონალური კავშირების უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისაკენ. ამ მხრივ, უნდა სიმართლე ითქვას, ყველა კავშირებმა პირნათლათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, მაგრამ რაც შეეხება სხვა დანარჩენ მხარეს, მაგალითად როგორიც არის გონებრივი საზრდოს მოწოდება, ლექციების კითხვა, სამკითხველოს გახსნა თუ სხვა, აი ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა. გამონაკლისს შეადგენს ერთი თუ ორი კავშირი, რომელთაც შეძლებისდაგვარად მოაწყვეს სალიტერატურო საღამოები და წარმოდგენები.

ამის ერთი მთავარი ხელის შემშლელი იყო ისა, რომ პროფესიონალურ კავშირებს არ გააჩნდა ერთი ცენტრი, რომელსაც უნდა გაეწია იდეური ხელმძღვანელობა პროფ. კავშირებისთვის.

კავშირებში იშვიათად მოიპოვება პროფესიონალური მოღვაწენი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამიტომაც იყო, რომ მუშაობა მოიკოჭლებდა. ამ ორი თვის წინათ ყველა მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა უკვე შექმნეს ერთნაირი ცენტრი, ე. ი. კავშირთა საბჭო.

კავშირთა საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას. მას უკვე ჰყავს მდივანი, რომელიც კარგათ იცნობს მუშათა კითხვებს და დავალებული აქვს იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა კავშირებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ცენტრალური საბჭო ამ მხრივ გაამართლებს ჩვენს იმედებს.

ჩვენ არ მოგვეპოვება მუშათა კლუბი, სადაც უნდა ლექციები იკითხებოდეს და იმართებოდეს საუბარი ამა თუ იმ კითხვებზე. არ გვაქვს სამკითხველო და სხვა. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კავშირთა საბჭომ. გარდა ამისა, აქ არ ეგონებს საღამოს სკოლა, სადაც ყოველ დღე სწარმოებს სწავლა და ახალ გაზრდა მუშები გონებრივ საზრდოს მი[illegible]ღებას ეწყობიან. ხშირად ამ ახალ გაზრდა მუშებს მათი „ხაზეინები" სასწავლებელში არ უშვებენ. ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. თვითოეულმა პროფესიონალურმა კავშირმა თავისი თავი მოვალეთ უნდა ჩასთვალოს, რომ თავის პროფესიაში ოდნავ-ყური ადევნოს ახალგაზრდა მუშების მდგომარეობას. ახალ გაზრდა მუშებს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თუ გვინდა, რომ ჩვენი მომავალი თაობა იქნეს გაწვრთნილი და შესაფერისათ მომზადებული მტერთან ბრძოლაში.

ი. ხადეშტროველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვალეობის მსხვერპლნი

### პოლკოვნიკი გიორგი კობეშავიძე.

1 მაისს ჯავახეთში, სოფელ საროსთან ბრძოლის დროს მოჰკლეს იშვიათი მეომარი, პოლკოვნიკი გიორგი კობეშავიძე. გმირს, რომელსაც ვერაფერი დააკლო დასავლეთის ფრონტზე გერმანელების ცეცხლმა, მებრძოლს, რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა ყოველგვარ გასაჭირიდან, გული გაუგმირეს მოღალატე ქართველმა მაჰმადიანებმა, როცა ის თავისი რაზმით ჯავახეთის ქართულ სოფლებს იცავდა ურდოების შემოსევისაგან. ის არ იბრძოდა ჯილდოსთვის და წარმატებისთვის, მისთვის არ იყო საჭირო ჯვრები და ორდენები, ვინაიდან მან უკვე მიიღო ყველა ეს დასავლეთის ფრონტზე, როცა გერმანელებს ართმევდა მომქმედ ტყვიისმფრქვეველებს და ზარბაზნებს. საკმარისია ვიცოდეთ, რომ ის ომის გამოცხადების დროს იყო პოდპორუჩიკი, რათა გავიგოთ რამდენი გმირობა და მამაცობა გამოუჩენია და ძველ დროში ქართველ მეომარს პოლკოვნიკობა და ყოველგვარი ჯილდო დაუმსახურებია. დასავლეთის ფრონტიდან ის [...]არშან სექტემბერში დაბრუნდა და უმალ [...]გზავნილ იქნა აბასთუმანში ოფიცერთა რაზმის უფროსათ, რომელიც სასახლეს და აბასთუმანს იცავდა. აბასთუმანში მისი ექვსი თვის მუშაობა იყო ნამდვილი ტრაგედია მებრძოლის, რომელსაც გარს ახვევია მოღალატე [...]ხი, სიტყვით მეგობარი საქმით კი მტერი [...] მიუხედავათ ყველა ამისა, მაინც სდგას [...]ავის პოსტზე; იცის, რომ მსხვერპლია, მარა [...]გნებულათ სწირავს თავს იმ საქმეს, რომ[...]ის გამარჯვება მას სწამს. ამ სტრიქონების [...]მწერი ერთი მონაწილეთაგანი ვიყავი თავიდანვე ახალციხის მაზრაში დანთებულ [...]ცხლის ჩაქრობ მუშაობისა. ვმუშაობ[...]ით ერთად მცირედი ჯგუფი, გვესმოდა და ვხედავდით, თუ რა მოელოდა ახალციხიდან ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ბევ[...] მაშინ ჩვენ შიშს გადამეტებულად [...]თვლიდა. ამ ჯგუფში იყო პოლკოვნიკი კობეშავიძეც. რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა და დაწიხვლა აიტანა ამაყმა გმირმა აბასთუმანის შენარჩენათ. ვიტანდით ყველა ამას, ვითმენდით და ველოლიავებოდით თვით აშკარა მტერსაც კი, იმ იმედით, რომ ქართველი ჯარი მოგვეშველებოდა და მტერს ვალაგმავდით, მარა ბათუმმა გადაჭრა ჩვენი აბასთუმანში დარჩენის საკითხი. მაჰმადიანებმა [...]არალი აყარეს ქართველ ოფიცერთა მცირე რაზმს, ხოლო როცა იმედები დავკარგეთ, პოლკოვნიკ კობეშავიძემ უკანასკნელმა დასტოვა აბასთუმანი და ბორჯომის რაზმს მოაშურა, რათა ახალციხეს დახმარებოდა და ჩვენის ქვეყნის ერთი უდიდესი კითხვის რადიკალურათ გადაჭრისათვის ხელი შეეწყო. [...]ა აი როცა მან გაიგო, რომ ჯავახეთის ხალხი შეიარაღებული თვით გამოვიდა თავისი [...]დგილ-მამულის დასაცველათ, ის, მებრძოლი გაეშურა მებრძოლთაკენ. მახსოვს და არასოდეს არ დამავიწყდება ბაკურიანიდან ჩვენი ცხენით მოგზაურობა სოფელ საროსამდე, სადაც [...]ენი რაზმები იდგნენ. რა იმედებით იყო [...]ვსე გიორგი, როგორ უღიმოდა სახე, როცა [...]რმოიდგენდა, რომ ასპინძით ახალციხისკენ [...]წევდა და შესძლებდა შველას ალყა შემორტყმულ მებრძოლთა!

მაგრამ არ დასცალდა გმირს! მეორე დღეს, [...] მაისს, დილა ადრიან ჩვენს ბინაზე გამოჩნდნენ ჯარისკაცები და გვაცნობეს, რომ მტერმა ღამით საროს ყველა მაღლობები დაიკავა და ჩვენ თითქმის ალყა-შემორტყმული [...]რთით. მართლაც მაღალი მთა, რომელიც [...]აჰყურებდა ჩვენს პოზიციებს, ექვსი ვერსის [...]სწვრივ მტრის მიერ დაკავებული აღმოჩნდა. [...]ლკოვნიკ კობეშავიძემ ჯარი სამი მხრით [...]უსია მტერს, თვით კი შტაბში დარჩა სა[...]ელმძღვანელოთ. მთავარმა რაზმმა, რომელიც სოფ. ხიზაბავრიდან დაიძრა და მიზნათ [...] მაღლობის განთავისუფლება, დიდი [...]ოლის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია [...]ლობის ჩრდილოეთ ფრთას და ჩასაფრდა. [...]ლკოვნიკმა დამავალა ამ რაზმს მე გავყოლოდი და უთუოთ შეტევაზე გადავსულიყავით, რათა საღამომდე მტერი გაგვედევნა, ვინაიდან ღამით ტყვეთ ჩავვარდებოდით. შუადღის ორ საათამდე ძლივს დავიკავეთ ერთი [...]რის მიდამო. დაგვიჭრეს და დაგვიხოცეს საუკეთესო მსროლელები, მარა მაინც არ [...]რკებოდენ ჯავახელები. ის იყო შეტევაზე [...]ნდა გადავსულიყავით, რომ გამოჩნდა თვით [...]ოლკოვნიკი კობეშავიძე და ბრძანება მოგვცა [...]ნ უნდა დაიხოცოთ, ანდა მტერი აქიდან გადევნოთო. „აი, ბიჭებო, რასი გეშინიათ, როგორ დავდივარ მე, ტყვიაც კი არ მხვდება, [...]ვრიეთ მტერს ხიშტებით და ერთ საათში [...]ქიდან წავლეკავთო", ამხნევებდა ის ჯარისკაცებს. და მართლაც, როცა ჩვენ შეტევაზე [...]ადავედით, ის უკანა რაზმებს უყვიროდა თავს, რომ ჩვენ მოგვშველებოდა. ის იყო მტერი [...]ველამე ხაზიდან ხიშტებით ავყარეთ, რომ შემატყობინეს: „პოლკოვნიკი დაიჭრეს და გიბარებსო". გამოვიქეცი და კლდეზე გაშხლართული დავინახე ის გმირი, რომელსაც არასოდეს არ აშინებდა სიკვდილი. დამინახა თუ [...]ა, მაინც ძველებურათ შემომძახა: „აბა ჩვენ იცით, ბიჭებო, მარა ერთს კი გთხოვ, მკვდარი ვიქნები თუ ცოცხალი, აქ ნუ დამტოვებ, წამიღე ჩემს მშვენიერ კახეთში, ეს არის ჩემი თხოვნაო".

ორი საათის შემდეგ ჩვენ მტერი, დამარცხებული, მაღლობებიდან გადავრეკეთ და ხუთი ქართული სოფელი განადგურებას გადავარჩინეთ; მეორე დღეს ერთ-ერთ ამ სოფელში—ვარგავში—როცა პოლკოვნიკი ბორჯომისკენ მოგვყავდა მძიმეთ დაჭრილი, გლეხებმა თვით დაუხუჭეს თვალები მათ მხსნელ გმირს, ის მიიცვალა.

დღეს კი ეს სოფლები კვლავ ცეცხლის ალშია; იბრძვის განწირული ჯავახეთი, ოსმალეთის ურდოები უკვე შემოიჭრნენ ჯავახელთა კარ-მიდამოში. ის გმირი კი, ვინც წინ უძღოდა ამ ხალხს, განისვენებს მის მშვენიერ კახეთში.

მშვიდობით, პატიოსანო მებრძოლო, შენთან მებრძოლნი თან ატარებენ შენ მშვიდ, მარა ბრძოლის ცეცხლით სავსე სახეს.

ლ. რ.

# თფილისის მთავარ ტელეგრაფის მოხელეთა შორის

31 მაისს ამხ. გაჩეჩილაძის თავმჯდომარეობით, მთავარ ტელეგრაფში შესდგა მოსამსახურეთა საერთო კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1500 მანეთის სესხათ მიცემა, რუსეთში მიმავალ მოსამსახურე დელეგატებისთვის; მოსამსახურეების მატერიალური მხარის გაუმჯობესება; მოხსენება სარევიზიო კომისიის და დამატებითი კომისიის არჩევა. კრებამ ერთხმათ დაადგინა—მიეცეს დელეგატებს სესხათ 1500 მანეთი, ორი თვის ვადით, კომიტეტის კასიდან. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თავმჯდომარემ, რომლისგანაც გამოირკვა, რომ ცენტრალურ კომიტეტს უკვე გამოუყვია კომისია ჯამაგირების პროექტის შესამუშავებლათ და ამ მოკლე ხანში მოთხოვნილება წარედგინება მთავრობას. უკვე აღძრული ყოფილა შუამდგომლობა საჩუქრის და დახმარების შესახებ და არის იმედი, რომ დაგვაკმაყოფილებენ. კრებამ ერთხმათ დაადასტურა კომიტეტის მიერ მიღებული ზომები. ამ საკითხის შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ მეტი საყურადღებო კითხვები იყო გასარჩევი, კრების დიდი უმრავლესობა სტოვებს ზალას. ამას ზედ დაერთო კომისიის უღიმღამო მოხსენება, რამაც ნათელყო თფილისის მოსამსახურეების და მათი ორგანიზაციების ნამდვილი სახე. სარევიზიო კომისიისთვის ამ ორი თვის წინათ, საერთო კრებას დაევალებინა მთავარ ტელეგრაფის კომიტეტის კასისთვის, ერთი კვირის განმავლობაში რევიზიის გაკეთება. კომისიამ ერთი კვირის ნაცვლად 2 თვე მოანდომა ამ საქმეს და ვერ მოგვცა კოლექტიური მოხსენება.

ემჩნეოდათ, რომ ერთად არც კი უმუშავნიათ. ასეთმა უუნარო კომისიამ თავის მოხსენებაში შეიძლო იმდენი უთანასწორო და ყალბი ნაბიჯები გამოეფინა, კომიტეტის მოქმედებიდან, რომ უნდა ვიფიქროთ: აქ დიდი ძაღლის თავი მარხია, რომლის ამოჩენას იმედია შეეცდება მომავალი „სიეზდი", (ამას ამტკიცებს ისიც, რომ კომისიამ კატეგორიული უარი განაცხადა შემდეგი რევიზიის მოხდენაში, მიუხედავათ კრების ხანგრძლივი თხოვნისა). კრებამ გადასცა კომიტეტს კომისიის მიერ აღმოჩენილი ბრალდებები და წინადადება მისცა ერთი კვირის განმავლობაში გასამართლებელი საბუთებით წარუდგეს საერთო კრების წინაშე.

დამატებითი კომისიის არჩევამ (რომელსაც უნდა დაევალებოდა ფონდის და [...] ბუფეტის კასის რევიზიის მოხდენა) გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. კომიტეტს უკვე გამოუყვია კომისია, რომელიც თავის მუშაობას ათავებს ამ დღეებში. უნდობლობამ კომიტეტისადმი და მისგან არჩეულ კომისიის მუშაობის გაუქმებამ, გააზვიადეს საკითხი. ჯერ ერთხმათ გადასწყვიტეს ახალი კომისიის არჩევა, შემდეგ კი სამი ხმის წინააღმდეგ შემდეგი კრებისათვის გადადევს ეს საკითხი.

კრებამ მოისმინა ერთი გამოჩენილი ბოლშევიკის სიტყვები. როდესაც ის მოგვიწოდებდით ხალხი ორგანიზაციულათ შეგვეკავშირებინა და კლასთა ბრძოლის ანბანი მაინც გაგვეცნო, ბოლშევიკი გვიპასუხებდა, ჩვენ ამიდენა არ გვჭირია. „ჩვენ გვინდა ხალხი, რომელმაც იცის მხოლოდ ეს კარგი, ეს ცუდი, ეს მინდა, ეს არ მინდა". აი სწორედ ასეთი ხალხი ყოფილა აქაც. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მიზეზით ხდებოდა, ბევრ შემთხვევაში უზურპატორების ხელში ჩვენი დაწესებულება.

ამხანაგებო! ჩვენ რევოლიუციას ვერ შევხვდით მომზადებული, იმიტომ, რომ ყველა ჩვენი ბატონ-პატრონი იყო. წლიდან წლამდე დღეში 16—22 საათს ვმუშაობდით. ახლა კი ჩვენი თავის პატრონობა ჩვენ მოგვენდო, [...] შეგვიძლია. [...] და ასეთ პირობებში თუ ცხოვრებას კიდევ ჩამოვრჩებით, იცოდეთ არ [...].

მეტი სიფხიზლე, მეტი სიყვარული საერთო საქმისადმი. კმარა გულგრილობა და უსაქმობა!

მორზისტ.

# სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 28 მაისს შესდგა თფილისის კომიტეტის სოც. დემ. მუშათა პარტიის სხდომა, რომელსაც დაესწრო 12 წევრი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მიმდინარე მომენტი: გაზეთი „ბორბა" და მოხსენებები. კრების გახსნის შემდეგ ამხ. გვარჯალაძე ამცნობს სხდომას თანამედროვე საქმის მდგომარეობას, მიუთითებს იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მთავრობას სურს გადადგას, რათა განამტკიცოს ნორჩი საქართველოს რესპუბლიკის არსებობა და მოაწესრიგოს ნაციათა შეთანხმების საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მიწა წყალზე. რომ თავისი განზრახვა მოიყვანა სისრულეში, მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს ყოველივე ზომები, რაც კი საჭირო იქნება რესპუბლიკის და ხალხის კეთილდღეობისათვის. ამისათვის, პირველყოვლისა, მთავრობა შეებრძოლება ყველა იმ კერძო პირთ, თუ მთელ ორგანიზაციებს, რომლებიც გამოვლენ არსებულ სახელმწიფოს მთლიანობის დასარღვევათ და იმოქმედებენ წინააღმდეგ ხალხის სურვილისა, მათი კეთილდღეობის შესამუსრავათ. მაგრამ, რომ მთავრობას შეეძლოს თავის დადგენილებების ჯეროვანათ ცხოვრებაში გატარება, საჭიროა მას მხარს უჭერდნენ ჩვენი ამხანაგები და უხსნიდნენ ხალხს ყოველივეს, რაც ხალხისთვის ბუნდოვანი და გაუგებარი რჩება და რაც იწვევს მთავრობისადმი უნდობლობას. საჭიროა პრესაც ეხმარებოდეს ამ საკითხში მთავრობას; ის უნდა აშუქებდეს ყოველივე მწვავე კითხვებს და ნათლად უჩვენებდეს მის დადებითი თუ უარყოფითი მხარეებზე, მაგრამ აქაც ხომ რაიონების დახმარებაა საჭირო, ამისათვის უნდა ევალებოდეს ჩვენს ამხანაგებს მოაწოდონ ჩვენს პრესას კორესპონდენციების სახით სხვადასხვა ამბები და უჩვენონ ფართო მასის სულიერ მდგომარეობაზე.

გაზეთ „ბორბის" შესახებ მოხსენებას აკეთებენ ამხ. ტოროშელიძე და ბახტაძე. ისინი აღნიშნავენ გაზეთის როგორც საგამომცემლო, საქმეს ისე მის ფინანსიურ მხარეს, კომიტეტმა გადასწყვიტა მიენდოს ამხ. წულაძეს, როგორც ამ საქმეში გამოცდილ პირს, შევიდეს „ბორბის" სარევიზიო კომისიაში, როგორც თფილისის კომიტეტის წარმომადგენელი და აგრეთვე აძლიოს რჩევა ზოგიერთ ტექნიკურ მხარეების მოწყობაზე, რომლებიც მისი აზრით, საჭირო იქნება საქმის საუკეთესოთ წარმოებისათვის. დასასრულ ამხ. ბახტაძე აღნიშნავს იმ ცუდ მდგომარეობას, რომელიც დღეს ხუფევს რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში. დღეს, ამბობს ამხანაგი, [...] საქართველოს დამოუკიდებლობა და ამით თავის თავათ იგულისხმება ჩვენთვის რკინის გზის ხაზის მნიშვნელოვანი ნაწილის მოწყვეტა, რაც თავის თავათ ბადებს საკითხს რკინის გზის მოსამსახურეთა შტატის შემცირებაზე. თფილისში წამოყო თავი დიდმა უკმაყოფილებამ იმ მუშების სახით, რომლებიც თავიანთი დამსახურებით უკვე გრძნობენ, რომ სწორედ ისინი მოხვდებიან შტატის გარეთ. ეს უკმაყოფილება უკვე აშკარათ გადადის პროვოკაციებზე. ამისათვის საჭიროა ახლავე იქნას საჭირო ზომები მიღებული, რათა ისედაც აწეწილი რკინის გზის საქმეებში კიდევ არ შეიტანოთ ერთი მიზეზი მისი სრული დარღვევისა. მიღებული იქნა რეზოლიუცია: „დაევალოს რკინის გზის კომიტეტს აქედანვე მიიღოს ყოველივე ზომები, რათა აცილებულ იქნას თავიდან ყოველივე მოსალოდნელი უწესოება".

კომიტეტის მდივანი.

# თფ. მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს კრება

1 ივნისს სახალხო სახლში შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება ამხ. მახარაძის თავმჯდომარეობით. საბჭოს სხდომას დიდძალი გარეშე საზოგადოება დაესწრო.

დღიური წესრიგი ასეთი: ამხ. ჯუღელის მოხსენება სომხეთის ამბების შესახებ; ი. წერეთლის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, მოხსენება თავდაცვის შესახებ.

ამხ. ჯუღელის გამოსვლას მთელი დარბაზი მხურვალე ტაშისცემით ხვდება. ის აკეთებს ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას სომხეთის ამბების შესახებ, რომლისაც ჩვენ უკვე გვქონდა [...] ჩვენს გაზეთში. [...] მოხსენებელს [...] მხურვალე ტაშისცემით ჯილდოვდებს.

მომენტის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ი. წერეთელი. ის აღნიშნავს რუსეთის მთლიანობის დარღვევის მიზეზებს, ეხება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების საკითხს, როგორც აუცილებლობით [...] შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს, აღნიშნავს აგრეთვე ამიერ-კავკასიის მთლიანობის დარღვევას, რომელიც გამოიწვია ოსმალეთის შემოჭრამ ამიერ-კავკასიის შიგ გულში (და მუსულმანების [...] ოსმალეთის ორიენტაცია [...]) და რომელიც გამოაშკარავდა ბათუმის საზავო მოლაპარაკებაში. და გამოჰყავს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება, როგორც ერთად ერთი სწორი გამოსავალი გზა შექმნილი მდგომარეობიდან. ის ეხება საერთოდ პატარა ერების ცხოვრების ისტორიას სხვადასხვა სახელმწიფოებში და ამბობს, რომ პატარა ერები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე იმყოფებოდნენ დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ, მაგრამ ისინი მარტო საკუთარ ძალღონეს არ ეყრდნობოდნენ, არა, ისინი საერთაშორისო უფლებაზედაც იყვნენ დაყრდნობილნი; მიუხედავად ამისა, სულ საფრთხეში იყო ჩავარდნილი მათი არსებობა. არა ნაკლები საფრთხე მოელის ქართველ ხალხს, თუ მან დროზე ვერ იშოვა ადგილი საერთაშორისო უფლებაში, საერთაშორისო ოჯახში. ამიერკავკასია ისე მოკვდა, რომ ვერ მოასწრო საერთაშორისო კავშირის წევრი გამხდარიყო, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საქართველო მალე შევიდეს საერთო ოჯახში სრულ უფლებიან წევრად.

ჩვენს, ქართველი დემოკრატიის წინააღმდეგ საშინელ დაუმსახურებელ ბრალდებას აყენებენ, ვითომ ჩვენ გავმხდარიყოთ ნაციონალისტებათ და ინტერნაციონალური დროშა შეგვეღალახოს. მე ვაცხადებ, რომ მხოლოდ ქართველი დემოკრატიის მტრებს შეუძლიათ ასეთი საშინელი ბრალდების წამოყენება, რომ მას ქართველ ერს არჩეული სწორე გზით სიარულში ხელი შეუშალონ და ხრამში გადაჩეხონ. ჩვენ ვრჩებით ინტერნაციონალური დროშის ქვეშ, მას ვემსახურებოდით რუსეთში ბრძოლის დროს, ნიკოლოზის დროსაც და დღესაც. როცა საქართველოს დამოუკიდებლობას ვიცავთ, მაშინ საერთო დემოკრატიის საქმეს ვაკეთებთ. ეს ჩვენი ღრმა რწმენაა და სცადონ იმათ, ვინც ჩვენს მოქმედებას იწუნებს, დაამტკიცონ წინააღმდეგი. იმ დროს, როცა უკრაინა, ფინლიანდია და სხვები დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ და თავიანთ ერების ინტერესებზე გაჰყვიროდნენ, ჩვენ მათ გამოსვლაში კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას ვხედავთ. ჩვენ რუსეთში ერთხელაც არ გვიხსენებია ქართველი ერი არა იმიტომ, რომ ის ჩვენ არ გვიყვარდა, მის ინტერესების დაცვაზე არ ვზრუნავდით, არამედ—ჩვენი მიზანი იყო ყველა ერთა ინტერესების თანასწორათ დაცვა, ერთ დროშის ქვეშ დარაზმვა. და სწორეთ აუტანელი და აღმაშფოთებელია, როცა ასეთ დემოკრატიას ნაციონალისტობას სწამებენ. მერე რათ, რით დაიმსახურა დემოკრატიამ ეს ბრალდება? თურმე ნუ იტყვით, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადება—ეს ნაციონალისტური საქმე ყოფილა. აქ ორატორი აღელვებულათ, ცხარეთ ლაპარაკობს. თითეული მისი სიტყვა მძლავრათ სჭექს და, როგორც ერთმა პირმა სამართლიანათ აღნიშნა, თითქოს ჩაქუჩს ურტყამსო. მას აღელვებს ქუჩური აგიტაცია, რომელსაც ეწევიან ერთი ჯგუფის ხალხნი („ზნამია ტრუდა"-ს გარშემო შემოკრებილნი) ქართველ დემოკრატიას ღალატს აბრალებენ. აი ამ უპასუხისმგებლო პირთა წინააღმდეგ ილაშქრებს ორატორი და გამომწვევი ტონით ამბობს: მე მოვითხოვ, რომ მათ ქუჩურ პროვოკაციას თავი დაანებონ და აი აქედან სთქვან თავიანთი გულის ნადები.

მე მოვითხოვ, რომ მათ გადაჭრით გვიჩვენონ გამოსავალი გზა.

თუ ისინი შექმნილი მდგომარეობიდან უკეთეს გამოსავალ გზას გვიჩვენებენ, მაშინ მე უარს ვამბობ ჩემს პოლიტიკაზე (ხანგრძლივი ტაში).

და თუ მაინც განაგრძეს მათ თავიანთი ბნელი, ქუჩური აგიტაცია მაშინ ეს იქნება ოსმალეთის იმპერიალისტების ხელის შეწყობა, ეს იქნება დემოკრატიის ღალატი (ტაში) და როგორც ასეთს, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ. ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი იმისთვის არიან გაჩენილნი, რომ დემოკრატიის ინტერესებს ებრძოლონ. მათის აზრით, თუ სომხეთი დაიღუპა, საქართველოც უნდა დაიღუპოს და ეს სომხეთისათვის კარგი იქნება (ტაში). მას აქ მოჰყავს მაგალითი, რომელიც ნათელ ყოფს და ადასტურებს ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯის სისწორეს.

ჩვენ მივმართეთ ამ უკანასკნელ საშვალებას, ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად და თუ ესეც დაინგრა, ჩვენ მაშინ მაინც ინტერნაციონალური დროშის ქვეშ დავერაზმებით და მივესალმებით ყველა დემოკრატიის გამარჯვებას, რადგან მათი გამარჯვება ჩვენს—დამარცხებულების გამარჯვებას ძლიერ ხელს შეუწყობს (ხანგრძლივი ტაში).

ჯამალ-ბეკოვი (მუს.) აღნიშნავს ნაციონალისტურ პოლიტიკას მუსულმანობაში და სომხებში, მას უპირდაპირებს ნიკოლოზის ტაქტიკას გათიშე და იმეფე და მწუხარებას გამოსთქვამს მუსულმანთა მასსის სწორე გზის აცდენის შესახებ.

ბულგაკოვი გამოდის სოც. რევოლიუციონერების დამცველად (ბათუმის ჯარისკაცთა საბჭოს წევრი) და ამბობს, რომ ჩვენი ლოზუნგი დიდებული იყო, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა გერმანიის და სხვა ქვეყნების პროლეტარიატმა, აქ, რუსეთში კი ნაციონალიზმი წინ წაუყენეს ინტერნაციონალიზმს; მაგ. უკრაინაში დღეს იქ გეტმანი სკოროპადსკი განაგებს [...] დემოკრატიას [...]. უკრაინაში რეაქციამ უკვე გაიმარჯვა ნაციონალიზმის საშვალებით და [...]. მე არ მინდა ცუდი წინასწარმეტყველი ვიყო და არაფერს არ ვიტყვი თუ რა შედეგი მოჰყვება საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებას, მაგრამ ერთი კი ნათელია—ყველ შემთხვევაში კარგი არაა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს რუსეთის რევოლიუციის დამარცხების ზოგიერთ მიზეზებს, არსებითად არ ეხება საკითხს, მას სურს გვერდი აუხვიოს წერეთლის მიერ დასმულ კითხვას—უჩვენონ მას შექმნილ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი გზა და როცა ამას შენიშნავენ რეპლიკებით, ორატორი ამბობს: მე არ შემიძლია შექმნილ მდგომარეობიდან დღეს გამოსავლის ჩვენება, ეს არ შეუძლია არც რუსეთს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მთავრობის ნაბიჯების გაკრიტიკება არ შეიძლებოდეს. ეს გულუბრყვილო განცხადება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სხვა გზის ჩვენება, მაგრამ მაინც მივდივართ ამ ნაბიჯის წინააღმდეგ—დამსწრე საზოგადოებაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. ბოლოს ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებაზე ისეთი არ იქნება, როგორც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობასთან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას კეთილ სურვილებით ვუყურებთ.

კრება ლაპარაკის დროს 10 წუთით საზღვრავს.

**თარხანოვი** (ს.-რ.) გამოსვლისთანავე აცხადებს, რომ რაც უნდა კარგი ვსთქვა მეო, მაინც ცუდათ მოეჩვენება საზოგადოებას ი. წერეთლის სიტყვის შემდეგ, რომელსაც დიდებული წარსული აქვს და რუსეთიც კარგათ იცნობს. ორატორი წინდაწინ დარწმუნებული იყო თავის დებულების სისუსტეში, მაგრამ ის მაინც ლაპარაკობს. თავის სიტყვაში თარხანოვი, როგორც ყოველთვის, აკრიტიკებს მთავრობის ნაბიჯებს, საქართველოს დამოუკიდებლობას პესიმისტურად უყურებს და ურჩევს საბჭოს აღიაროს რუსეთის ორიენტაცია; ის აღნიშნავს აგრეთვე, რომ ს.-დემოკრატებს არავინ ღალატში ბრალს არ სდებს და უსაფუძვლოა ის, რაც ი. წერეთელმა სთქვაო. ჩვენ, მხოლოდ მივდიოდით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ასევე ვეპყრობით საქართველოს დამოუკიდებლობასო.

**რებრუხი** (ს. რ.) ეკამათება ბულგაკოვს და თარხანოვს. ის ამბობს, რომ, როცა წერეთელმა სთქვა, რომ ერთი ჯგუფი ქუჩურ აგიტაციას ეწევა და უკადრისი საშვალებით გვებრძვისო, მე ეს არ მიმიღია იმ ჯგუფზე, რომელსაც მე ვეკუთვნი; და როდესაც აქ ბულგაკოვი და თარხანოვი თავის მართლებას შეუდგნენ, ნათელი გახდა, რომ მათ ეს ბრალდება მიიღეს თავის თავზე და სწორედ ისინი არიან იმ დასახელებული ჯგუფის სულის ჩამდგმელნი. უკრაინაში თუ რეაქციამ გაიმარჯვა, არ შეიძლება, რომ ითქვას, საქართველოსაც ის ბედი ეწევაო. საქართველო სულ სხვა პირობებში იქნება და თუნდაც რომ რეაქციამ იჩინოს თავი, ის სულ სხვა სახეს მიიღებს აქ. ორატორის მოხდენილმა და გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვამ დამსწრე საზოგადოების მხურვალე ტაში გამოიწვია.

ილ. ქარცივაძე აღნიშნავს, რომ ასეთ საბედისწერო მომენტში კი არ უნდა ვფიქრობდეთ, თუ ვინ დავამარცხოთ კამათში, ლაპარაკში, დღეს ჩვენ უნდა ვეძებდეთ ერთსულოვნათ გამოსავალ გზას და შეიძლება მიზანს მივაღწიოთ.

ი. წერეთელი უპასუხებს მოწინააღმდეგე ორატორებს და ამბობს: ქარცივაძე გვირჩევს საჭიროა წესრიგი, ერთსულოვნობა და არა ერთმანეთთან ბრძოლაო. ეს ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ერთსულოვნება, წესრიგი, შეერთება საერთო მტრის წინააღმდეგ, რომ დემოკრატიამ იცოდეს, თუ საით მიდის და რისთვის მიდის ის, კარგია, მხოლოდ ამ გზით შეიძლება დემოკრატიის სამსახური, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ აქ, ჩნდება ჯგუფი, რომელიც ანგრევს და დეზორგანიზაცია შეაქვს დემოკრატიის მთლიანობა — ერთსულოვნებაში. ჩვენ მოვნახეთ განსაზღრული გზა და მივდივართ ამ გზით. გამოდის ს. რ. ერთი ჯგუფი და ჩვენს ნაბიჯს მოღალატურ ნაბიჯებს უწოდებს. ჩვენ გვიყენებენ ასეთ ბრალდებას, რომ თავიანთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მოაწყვეს, რომ ოსმალებს გაუმკლავდნენ და სომხის ხალხი კი ღვთის ანაბარათ დატოვესო. ჩვენ ამაზე რამდენიმეჯერ გამოვსთქვით ჩვენი აზრი, მაგრამ მათ საქმის ნამდვილი ვითარება არ აინტერესებთ, არამედ სურთ ნაციონალური შუღლი ჩამოაგდონ ორ მეზობელ ერთა შორის, რომ ორივე დაიღუპოს, მაგრამ დემოკრატია მათ არ უჯერის, მან იცის თავისი გზა, თუ საით უნდა წავიდეს. მოწინააღმდეგე ბანაკის ორატორებმა აქ განაცხადეს, რომ ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს აქ ვითომ ს.-დემოკრატები ხალხის ინტერესებს ღალატობენ და სხვაო, მართალია თქვენ აქ არ გითქვამთ, თქვენ ამას მხოლოდ ქუჩებში და გაზეთის ფურცლებზე ამბობდით. აქ ორატორი კითხულობს „ზნამია ტრუდა"-ში მოთავსებულ წერილს და მით ასაბუთებს თავის აზრს. ამას თქვენ ავრცელებდით [...] შორის, რომლებსაც დღეს [...] უფრო მეტი საშინელებაა ეს [...].

მე კატეგორიულად [...] საკითხი: თუ თქვენ შექმნილ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალ გზას გვიჩვენებთ, მაშინ მე ჩემს პოლიტიკაზე უარს ვამბობ-მეთქი. მაგრამ ერთმა გულუბრყვილოთ განაცხადა: მე კი არა, მაგრამ

რუსეთს არ შეუძლია გამოსავალი გზა გამონახოს. შორიამ კი მიკიბ-მოკიბა და ისევ რუსეთის ორიენტაციას ჩაებღაუჭა. ამაზე ჩვენ რამოდენიმეჯერ ვილაპარაკეთ და დავასაბუთეთ, რომ იმ რუსეთისაგან, რომელმაც საერთაშორისო ნორმებს ზურგი შეაქცია და რომელმაც რეალური ძალა გაანადგურა, ვერავითარ დახმარებას ვერ მივიღებთ. მოქალაქენო! უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ უფრო მიტომ დავმარცხდით, რომ სულ რუსეთის გაერთიანებაზე ვფიქრობდით და ბევრი მოხდენილი დრო ხელიდან გავუშვით საერთო ფრონტის აღდგენისათვის, მაგრამ ეს არ მოხდა. ამ შემთხვევაში ჩვენ სასტიკათ დავმარცხდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორი არ იყო. საქმე იმაშია, ვუწყობდით თუ არა ამ დამარცხებას ხელს? და თუ არ უწყობდით ხელს, მაშინ დანაშაული ჩვენი არ არის. ჩვენ კი არ გამოვყოფივართ რუსეთს, არამედ ჩვენ გვაიძულეს გამოვყოფოდით. ორატორი აღნიშნავს იმ ძალთა განწყობილებას, რომელიც იყო ამიერ-კავკასიაში და ამბობს, რომ ინტერესთა წინაალმდეგობამ და ოსმალეთის შემოსევამ დაღუპა ამიერ-კავკასიის მთლიანობა.

შეიძლება ჩვენს საქართველოს რესპუბლიკასაც არ ეწვიოს კარგი ბედი, და ჩვენ აქაც დავმარცხდეთ, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ იქნება და ჩვენ მაინც განვაგრძობთ დემოკრატიის ინტერესებისათვის ინტერნაციონალური დროშის ქვეშ ბრძოლას. (ტაში). ისინი მაბრალებენ მე, ვითომ მეთქვას რუსეთის რევოლიუცია საბოლოვოთ დამარცხდა მეთქი, მე ამის მზგავს არამც თუ არ ვიტყვი, არამედ არ ვიფიქრებ. რუსეთის რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება დროებითია, როცა დასავლეთ ევროპას რევოლიუციის ცეცხლი მოედება, მაშინ რუსეთის დროებით მიძინებული რევოლიუციაც გაიღვიძებს; მხოლოდ კითხვა იმაშია, მოუცდის თუ არა რუსეთის რევოლიუცია დასავლეთ ევროპის მოძრაობას თუ ისევ თვითონ აღსდგება და განაგრძობს გზას, ამას მომავალი დაგვანახვებს.

როცა თქვენ გეუბნებიან რუსულ ორიენტაციაზე, უნდა იცოდეთ, რომ ეს ნიშნავს იარაღის დაყრას და ოსმალეთის იმპერიალიზმის ხელში ჩავარდნას.

ჩვენ რომ ამიერ-კავკასია არ გამოგვეცხადებინა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, მაშინ მას საერთაშორისო კონგრესზე ხმა არ ექნებოდა და არავინ მაზე კრინტს არ დასძრავდა.

ჩვენი მოწინაალმდეგენი, როცა რუსეთისკენ გვეჯიკავებენ, ერთ შეცდომას ვერ ამჩნევენ. ეს არის რუსეთის მიერ—რეალური ძალის განადგურება. აქედან გამომდინარეობს ყველა უბედურება. როცა ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიის, გვინდოდა შეგვექმნა ეს რეალური ძალა, მაგრამ რუსეთის ჯარის გამხრწნელმა ძალამ, აქაც ხელი შეგვიშალა. დასასრულ ორატორი აღნიშნავს რუსულ და ქართულ ნაციონალიზმს და ორივეს გმობს, როგორც ასეთს. (ხანგრძლივი ტაში).

მიღებულ იქნა ასეთი რეზოლიუცია: მუშ. და ჯარ.-კაცთა საბჭომ მოისმინა რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე დაადგინა: საბჭო განაგრძობს მუშაობას დემოკრატიის შესაერთებლად და მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობას გარეშე მტერთან ბრძოლაში და რევოლიუციის მონაპოვრების განმტკიცებაში. კრება ადასტურებს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამოთქმულ აზრს შეძლებულ კლასთა დაბეგვრის შესახებ. აგრეთვე მობილიზაციის მოხდენის შესახებაც გამოსთქვამს სურვილს, რომ მალე ჩატარდეს.

შემოდის ს.-რევ. წინადადება „ზნამია ტრუდას“ დახურვის შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა. კრება დაიხურა ღამის 2 საათზე.

აკ. ხ—უა.

## პროვინცია

**სოხუმის ფრონტზე.** 5 მაისს თფ. მუშ. და ჯ.-კ. აღმ. კომ. საგანგებო რაზმი გაემგზავრა ნატანების ფრონტიდან სოხუმისაკენ. მან კარგათ იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოხუმის ოლქში ანარქიის ცეცხლის ჩაქრობას საზავო მოლაპარაკების მსვლელობისათვის. 10 მაისს რაზმი თფილისის გვარდიასთან ერთად ჩაიდა კოდორში, რომელიც 20 ვერსითაა მოშორებული სოხუმიდან. მეორე დღეს, საღამოს 5 საათიდან სამხედრო მოქმედება დაიწყო. მოვიდა საშინელი წვიმა. ჩვენთვის მოულოდნელი იყო მტრის მიერ ასეთი თავდასხმა და მოუმზადებელი ვიყავით ბრძოლისათვის. სანგრებიც კი არ გვქონდა გაკეთებული. მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირას გამაგრებული იყვნენ ბოლშევიკების ჯარები, რომელთა რიცხვი 2 ათასამდე იქნებოდა მთელ ფრონტზე. რაზმს ებრძანა 11 ს ღამით მარჯვენა ფრთა დაეჭირა და გაემაგრებია. მეტად ძნელი იყო ისეთ საშინელ წვიმაში და ჯოჯოხეთურ სიბნელეში პოზიციასთან მისვლა, მისი ამორჩევა და გამაგრება. მიუხედავათ ამისა, რაზმი უნაკლოვოთ მიდის ბრძანების სისრულეში მოსაყვანათ. დიდი ვაი-ვაგლახის და გაჭირვების შემდეგ მივაღწიეთ საპოზიციო ადგილს და შევუდექით თხრილების გაკეთებას მდინარის მარცხენა ნაპირას. გათენებისას ყველაფერი მზათ იყო და პოზიცია დავიჭირეთ. მოწინაალმდეგისთვის წარმოუდგენელი იყო, თუ ასეთ ღამეში ჩვენ ასე ახლოს მივიდოდით ხიდთან და გავმაგრდებოდით. დილიდან სამხედრო მოქმედება განახლდა და მთელი დღე ბრძოლა იყო. უმთავრესათ საარტილერიო ცეცხლი იყო გაჩაღებული ორივე მხრით. 17 მაისს ღამით აღმ. კომიტეტის რაზმი პირველად უნდა გადასულიყო მდ. კოდორზე შესატევად. რაზმს ებრძანა მოერო შორიდან პოზიციისათვის და 6—7 ვერსით დაშორებულ ადგილას ხიდიდან უნდა გასულიყო ცხენებით მდინარეში, სადაც მეტად ძნელი გასავალია, ამიტომ მოწინაალმდეგეს აქ ნაკლები ძალა ჰყავდა დაყენებული. აფხაზების ცხენოსანი რაზმის მეოხებით საგანგებო რაზმი გაღმა გავიდა ღამის 3 საათზე. დიდი გაჭირვება გადაიტანეს რაზმელებმა იმ ღამეს. სწრაფმა მდინარემ ერთი ჩვენი აფიცერი მოიტაცა ცხენითურთ, ცხენიდან გადააგდო და წაიღო. გამოცდილ ხელს რომ არ შეემჩნია ეს და არ ამოეყვანა, აუცილებლად დაიხრჩობოდა. ერთი აფხაზი წაიღო კოდორის სწრაფმა ტალღებმა და დაახრჩო. გასვლა მაინც მწყობრათ და სასურველათ ჩატარდა. სრულიათ დასველებული წყალში ჩვენი თავგანწირული მებრძოლები გაღმა გასვლისათანავე შლის „ცეპს“ აფხაზებთან ერთათ, რომლებიც უფრო უშიშარ ადგილზე გაიშალენ და მიდის დაკისრებული მოვალეობის აღსასრულებლათ. ამ დროს იქავე რაზმი წააწყდა თხრილს მდინარესთან ახლოს, სადაც 5 კაცამდე იყვენ ჩამსხდარი და ტელეფონიც თან ჰქონდათ თხრილში ჩაყვანილი. ისინი იქავე იქნენ დატყვევებული. ტყვეებმა ვინაობის გამოკითხვის დროს განაცხადეს, რომ კავშირი ჰქონდათ გამაგრებულ დრანდასთან ტელეფონის საშუალებით. როცა ჯარი დაინახა მდინარეზე გადასული, შეშინებია, ჰგონებია მრავალრიცხოვანი და გადაუციათ ტელეფონით დრანდში, სადაც ბოლშევიკური ჯარების რეზერვი იდგა, რომ თავისთვის ეშველათ, რადგან გზის გადაჭრა უნდათ ჩვენი ჯარებისთვისო. მაშინვე მათ უკან დახევა დაუწყიათ დრანდის მონასტრიდან და გაფანტულან. ამ დროს კიდეც გათენდა. ჩვენი არტილერია ამუშავდა. მან ყოველი მხრით მთელ ფრონტზე ცეცხლი გააჩინა და ხიდზე მოხერხებულათ გადავიდა ჩვენი დანარჩენი ჯარები. ჩაიგდეს ხელში ტყვეები, ტყვის მფრქვეველები, თოფები, ზარბაზნები და სხ. ქონება. მოწინაალმდეგე დიდი ხნის მზადებაში ყოფილა, როგორც შემდეგ მათი სანგრების დათვალიერებამ დაგვარწმუნა. ისე მოხერხებულ ალაგას ჰქონდათ თხრილები, რომ თვით ზარბაზნის ყუმბარებიც ზიანს ვერ აყენებდა. თუ არ მოხერხებული შეტევა და მარჯვენა ფრთის გარღვევა და გზის გადაჭრის ცდა დამარცხებით დასრულდებოდა. 18 ს მტრის ჯარები საბოლოოთ დამარცხდენ. იმავე დღეს ჩვენმა ჯარებმა აიღეს სოხუმი. ამ ჟამათ თფ. აღმ. კომიტეტის საგანგებო რაზმი სოხუმშია. ის იქ დროებით დარჩა ოლქში ანარქიის ჩასაქრობათ და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ. როცა ამ მიზანს მიაღწევს, ის მაშინ დაბრუნდება თფილისში.

პრომეთეოსი.

**ინტაბუეთი.** (ჯვარცხ. საზოგადოება). ეს ზოფელი, როგორც საერთოდ მთელი გურია, უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი უსიმინდობის გამო. სახლში არავინ დარჩა, ვისაც თოფის ტარება შეეძლო ბრძოლის ველზე გაიწვიეს. სოფლათ შეადგინეს მუშათა რაზმი, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს ჯარში წასრულ ამხანაგების ოჯახებს, არჩეულია რამდენიმე კაცი, რომლებმაც ცხენებით უნდა მოიტანონ სიმინდი და მიაწოდონ ხალხს. ზოგი პირები სარგებლობენ ამ მდგომარეობით, მოაქვთ სიმინდი და როგორც სურთ ისე ყიდიან. ხშირათ წონაშიაც ატყუებენ საწყალ ხალხს; ეს ვაჭბატონები სარგებლობენ დროით, იციან ახლა პასუხს ვერ მოსთხოვენ. ყველაზე მეტი „გმირობა“ ბ-მა კოსტა შარაშენიძემ ჩაიდინა, რომელიც დიდიხანია ცნობილია ასეთი „საქმიანობით“. 8 მაისს ინტაბუეთის მასიურ კრებაზე, ხალხს დაპირდა მოწმობა მომეცით და თანაც რაც გაქვთ ფული გადმომეცით, ჩემსას დავამატებ 5,000 მან. სიმინდს ვიყიდი, მოსვლისისას ნაყიდობას წარუდგენ და სიმინდსაც გადავცემ გასანაწილებლათ, ვისაც ახლა აირჩევთ და ენდობითო. კრებამ აირჩია სიმინდის მიმღებათ და განმანაწილებლათ ის. ჩიგოგიძე; მადლობა გადაუხადეს კოსტას. გადასცენ ფული 1700 მან. დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა მოიტანა ბ-ნმა კოსტამ, 148 ფ. სიმინდი, რომელიც უყიდია ხალხის ფულით და ერთი ამდენი სხვისიც დაუმატებია, ხოლო თავისი კი არაფერი. არც ნაყიდობა წარმოუდგენია, ხოლო განაცხადა 27 მან. უნდა გაიყიდოსო. მეტი რა გზა იყო, მშიერი ხალხი დათანხმდა. როცა 100 ფუთი გაიყიდა, დანარჩენი 48 ფუთი თითონ წაიღო ბ. კოსტამ დაკეტა სახლში და შემდეგ როგორც სურდა ისე ყიდდა. საწყალ ქვრივ ობლებს ლანძღვა-გინებით ისტუმრებდა, ბევრს ისეთი უშვერი სიტყვებით შეეხო, რომ საბრალო ქალები ტირილით ბრუნდებოდნენ სახლში, ხოლო ბ-ნი კოსტა სიმინდს შეძლებულ და მოყვრებზე ყიდდა, ვისაც რამდენი უნდოდა. აი დღეს ამ გაჭირვების ხანაში, როცა მტერი კარზე გვადგია და დღეს თუ ხვალ ჩაყლაპვით გვემუქრება, ასეთმა ვაჭბატონებმა თავი წამოყვეს და ხალხის ზურგზე ცხადათ იწყეს თარეში, მაგრამ ახსოვდეთ, რომ ხალხი მათ პასუხს მოსთხოვს.

ი.—ელი.

**ქ. ლანჩხუთი.** 10 მისიდან შეუდგა იქ მუშაობას ომისგან დაზარალებულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტი. დღიდან თავისი მუშაობისა კომიტეტმა დაიმსახურა ხალხის საერთო ყურადღება თავისი ენერგიული მუშაობით. დღეს, როდესაც გურია თითქმის ერთიანათ აუწერელ გაჭირვებას განიცდის, დახმარებათა წყაროები ძლიერ შემოკლებულია საერთოდ შექმნილ მდგომარეობის გამო, ასეთ დროს რაიმეს გამონახვა, სურსათის შეძენა მთელი მაზრისათვის ყველასათვის აშკარაა, რაოდენ ენერგიას თხოულობს. გარდა ამისა, მეორე მხარეც აწევს ამ კომიტეტს სურსათის მხრივ. საყოველთაოდ საყოფის კი არა მცირედი ნაწილის შეძენაც ძლიერ გასაჭირია, ამ შემთხვევაში სწორ განაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მცირედი სანოვაგე ისე სწორედ ნაწილდება, რომ ამ გარემოების მიხედვით საერთო ნდობა და ყურადღება დაიმსახურა კომიტეტმა. გარდა სურსათის მიწოდებისა და მისი წესიერათ განაწილებისა ეს კომიტეტი ზრუნავს აგრეთვე მიაწოდოს ლტოლვილებს, რომლებსაც მუშაობა შეუძლიათ საყანე მიწა და სათესლე სიმინდი, რომ მით ერთი მხრივ ბოლო მოუღოს უმუშევრობას, და მეორე მხრივ მომავალი სურსათის საქმეც უზრუნველ ყოს. აგრეთვე კომიტეტი ზრუნავს ხელი შეუწყოს მუშას—უშოვოს სამუშაო იარაღები—თოხები და სხვ. სამასო შუამდგომლობა აღძრა კიდეც. კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე მაზრის სანიტარულ მდგომარეობას. კომიტეტის თხოვნის თანახმად ჩამოვიდა აქ 25 მაისს სამზრუნველო სამინისტროს რწმუნებული ექიმი გაბაევი, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარის გ. კოპლატაძის თანხლებით ჩამოიარეს ყველა რაიონებს. ვინაიდან შინაური ძალებით უფრო საჩქაროთ შეიძლება მოგვარებულ იქნას საქმე, ამიტომ სამაზრო ექიმის მონაწილეობით კომიტეტი მდგომარე თვის 31 იწვევს ლანჩხუთში მაზრის ექიმებისა და ფერშლების კრებას, რომ გამომუშავებულ იქნას საერთო მუშაობის გეგმა, თუ როგორ მოეწყოს და რა მხრივ ებრძოლონ გადამდებ სენის მოსპობას და რა საშვალებით უზრუნველ ყონ მცხოვრებთა ჯანმრთელობა. ცხადია, კომიტეტი ამ საკითხის სათანადო გარკვევით და წესიერად ამ ორგანიზაციის მოწყობით ძლიერ დიდ სამსახურს გაუწევს მცხოვრებთ.

კომიტეტი სთხოვს ყველა გარეშე ძალებს და მთავრობას აღმოუჩინოს დახმარება და ხელი შეუწყოს მის მუშაობას, ვინაიდან გადმოხვეწილთა რაოდენობა, რომლებსაც ესაჭიროება აუცილებელი ყოველ დღიური დახმარება ახალი ევაკუაციის გამო უდრის 30,000 სულს.

ალიონი.

## წერილი რედაქციის მიმართ

29 მაისს სამაზრო სამიწათ მოქმედო გამგეობისაგან დავალებული მქონდა, რომ მონაწილეობა მიმეღო მიმღებ კომისიაში. გავემგზავრე ხ. კოდისაკენ. თან საგუბერნიო გამგეობისგან მქონდა მიწერილობა, რომ პირველ მისვლისთანავე შევდგომოდით მამულის მიღებას სოფ. ერტისში, რომელიც მდებარეობს სოფ. ვაშლოვანის ზევით, მომიხდა ვაშლოვანზე გავლა, სადაც სოფლის დუქნის წინ დავინახე მედუქნე და ვკითხე, თუ იქაური კომისარი სად ამყოფება, მან მიპასუხა: დუქანში უნდა იყოსო. დუქანში ოთხი კაცი დამხვდა, მე შევეკითხე: თუ ვინ იყო სოფლის კომისარი. ერთ მათგანმა მიპასუხა: მე ვარ, რა გინდაო! რაღაც უკმეხად ლაპარაკობდა. მე ავუხსენი მისვლის მიზანი და ვთხოვე დახმარება. პასუხად მივიღე: შენ იმერელი ხარ, აქ რა გინდა, თქვენ თათრებს მიეცით იარაღი ჩვენდა ამოსაჟლეტათ, თქვენ თათრების ქომაგი ხართ, ჩვენი ხელით უნდა დაიხოცოთო და დამიწყო ცემა, მეორეც დაეხმარა, მე გარედ გამოვარდი გასისხლიანებული სახით და რომ დავინახე აღარ მეშობდენ, ვიძკრე მაუზერი, მაგრამ ის ავაზაკი, რომელმაც მითხრა—კომისარი ვარო—ვერ გავიმეტე. ისინი წინ შესდგენ, მაგრამ უკნიდან სხვებმა მიხელთეს დრო, როცა დარწმუნდენ იმათ აღარ ვერჩოდი, წამიკრეს უკნიდან ხელები. წამართვეს იარაღი და დამიწყეს ცემა. მარცხენა თვალში ქვა ჩამარტყეს, ერთი დანით მუცლის გამოჭრას მიპირობდა აუცდა და მარჯვენა ბარძაყში მსუბუქად გამიარა. სიკვდილი აუცილებელი იყო, მაგრამ ამ დროს ვიღაცას მოსვლამ და ყვირილმა ცოტა შეაჩერა ეს ნადირები—ახლად მოსული აღმოჩნდა ამ სოფლის კომისარი ლევან ნაამაშვილი, რომელმაც ვითომ მიიღო რაღაც ზომები, მაგრამ ეტყობოდა ამ სოფლის რაინდებს ისიც შეშინებული ჰყავდა, რიგიანი დახმარება ვერ გამიწია. ამ დროს აღმოჩნდა ერთი ახალგაზრდა, რომელმაც ბევრი მომაწოდა, თვალი შეეხვია. ფერშალი არ აღმოჩნდა. ბოლოს კომისარს ვთხოვე, რომ ეჩვენებინა ჩემი ამხანაგები და ჩემი იარაღი დაებრუნებინათ. კომისარმა შორიგებაზე დამიწყო ლაპარაკი და როცა დარწმუნდენ, რომ ის ვაჟბატონები უპასუხოდ არ დარჩებოდენ, მოინდომეს ჩემი იქ სოფლის განაპირა დუქანში დატოვება იმ ღამეს, რაც ნიშანი იყო სიკვდილის. მე მივუგე ბევრი ძალა და გადაჭრით განვაცხადე, რომ იქ ჩემი დარჩენა არ იქნებოდა და გავუდექი კოდისკენ. კომისარმა ვიღაც მოხუცი გამაყოლა გზაზე, გზადა გზა გუთნის დედები თანაგრძნობას მიცხადებდენ და იმათ მუქარას უთვლიდენ. ასე გაწამებული კოდაზე. იქაც ერთი ჯგუფი ხალხის ლაპარაკობდენ ჩემს მისვლაზე. თანაგრძნობის მაგივრათ დაცინვა დამიწყეს,—ერთმა სთქვა: ხეკაკუნას არა ჰგავსო. კომისრის მოკითხვაზე ისე მიპასუხეს: „თქვენ რომ თათარი კომისარი დაგვინიშნეთ, ის აქ არ ცხოვრობსო“. კაცი არ აღმოჩნდა, რომ თანაგრძნობა გაეწია. მხოლოდ ერთი მილიციონერი აღმოჩნდა, რომელმაც კაცი გამაყოლა ქირით კუმისამდის, რადგან მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამხანაგები რაკი იქ არ დახვდენ კუმისში იქნებოდენ (თუმცა იქ მყოფი ბრიყვი იძახდა: ისინი აქედან გარეკეო). კუმისში მისვლისთანავე ვინახულე მიმღები კომისიის თავმჯდომარე მოქალაქე ალავიძე და სხვა ამხანაგები, რომელთაც თანაგრძნობით მიმიღეს და რითაც შეეძლოთ დახმარება გამიწიეს. ფერშალი არც იქ აღმოჩნდა, ჩემი მდგომარეობა უფრო გამძაფრდა და ჩემი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა. იმლომსვეს საათის ორზე კუმისელებს გამოვყევი თფილისისაკენ, რომლებიც სახედრებით მოდიოდენ საჭმლოთ. მათი საუბრიდან გზადაგზა დავრწმუნდი, რომ სოხუმის შოვინიზმი ძლიერ ფეხგადგმულია ამ რაიონში. რამდენი ცილისწამება არ გვაგონე ამ საბრალო მონებისაგან საქართველოს მთავრობაზე. ხანდახან იძულებული ვიყავი მეპასუხნა, რაც მათში უსიამოვნებას იწვევდა. თანაც ფრთხილად ვიქცეოდი, რაც ვაშლოვანში დამაკლეს, კუმისლებს არ შეესრულებიათ, მაგრამ კუმისელები უფრო თავდაჭერილად მოიქცენ და პატივი მცეს. ერთი მათგანი, რომელიც გურჯით იწოდებოდა—ხშირად შენიშვნებს აძლევდა თანამგზავრთ, რომ საქართველო ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა.

23 წლიწადია ქალაქის მუშათ ვითვლები და 22 წლიწადია მუშათა ორგანიზაციებში ვმუშაობ როგორც შემიძლია, 1901 წლიდან მოყოლილი თვითმპყრობელობის მკვლელებს ცხრაჯერ დამტუსაღებული ვყავდი და არც ერთხელ მსგავსი შეურაცხყოფა არ მომსვლია. იმის მსგავსი წამება, რაც მე სოფ. ვაშლოვანში 29 მაისს შემხვდა არსად არ მახსოვს; ჩემ პასუხზე: მერე რა, იმერლები ხომ თქვენი ძმებია, ესენი ხომ იგივე ქართველებია, რომლებიც მუდამ სომხისა და თათრის გაჩაღებულ ცეცხლს შუა იდგენ და მას თავისი საკუთარი სისხლით აქრობდა. მოუყვანე 1905 წლის რ. სტურუას დაღუპვა და სომხისა და თათრის ხალხის გადარჩენა ერთი მეორის ამოჟლეტისგან, იგინმა არ დაინდეს, ჩემი ძმური სალამი იმათმა მტრულათ მიიღეს—არ დამინდეს, ობლათ მნახეს, სასიკვდილოთ გამიმეტეს! და თუ ცოცხალი დავრჩი, ეს შემთხვევას უნდა მიეწეროს; თფილისში ჩამოსვლისას ამხანაგებმა ვერ მოითმინეს და გრძნობა მორეულებმა მაშინვე მოინდომეს ჯარის ამოყრა, იმ ავაზაკების სასტიკათ დასჯა, წასვლას აპირობდენ, მაგრამ როცა აუხსენი, რომ საქმე უკვე მთავრობას აწყია და ზომებსაც უეჭველია ღირსეულს მიიღებს, მათმაც თავი დაიკავეს, და მოუთმენლათ ველით, რომ დამნაშავენი დაუსჯელნი არ დარჩებიან! ჩვენ კი ჩვენს საქმეს უფრო გამოცდილებით და მედგრათ განვაგრძობთ.

საგლეხო ცენტრის და თფილისის მაზრის სამიწათმოქმედო გამგეობის წევრი

დ. ი. ლორთქიფანიძე.


# აუქციონი

მიმდინარე წლის 6 ივნისს დილის 10 საათზე ორთაჭალის ქალაქის წისქვილში (ყოფილი თამამშევის).

# საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ქერისა და პურის ქატო.

თფილისში ჩამოსული პირველ ივნისს სამ... მატარებლით № 10-ს პირველი კლასის № ÑH 3. კუპეში **დამეკარგა** კარტონის პორთფელი საბუთებით და სხვა ქაღალდებით, რომლებსაც სხვისთვის არავითარი ღირებულება არ წარმოადგენს. მნახველს ვსთხოვ შემოიტანოს „ერთობის“ რედაქციაში გოლ. პრ. № 12 ან სადგურ თფილისის კომისართან, რისთვისაც მიეცემა საჩუქარი. სარ. კომ. წევრი პ. შათირიშვილი. (1—1)

**დავკარგე** სადგ. გორის სიახლოვეს მატარებელ № 4 ში თოფის მოწმობა მოცემული ჟამლის შტაბიდან თფილისის წითელ-გვარდიისა № 265031 და პარტიული კნიჟკა მოცემული მეორე რაიონიდგან რ. ს.-დ. მ. პარტიისაგან და 498 მანეთი, მასთან ცხენის ნაყიდობის მოწმობა. მპოვნელს ვსთხოვ ფულის ნაწილი დაიტოვოს და დანარჩენი დამიბრუნოს უკან. ჩემი მისამართი: თფილისი არტილერიის საწყობი ირაკლი ცერცვაძეს.

### ექიმი უკლადნიკოვი

შინაგან და საბავშვო სნეულებიან ავათმყოფთ იღებს ყოველ დღე დილ. 10—11 საათამდე და სად. 5—6 საათამდე. მისამართი: დიდ. მთავრის ქუჩა № 67 (კიროჩნი ქუჩ. კუთხე).

### ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

### ექიმი ქალი რ. ა. შიშლო საგზვილავა

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ლეინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხელოვნურ დაჭირებას სიფილისის წამლობა ახალი წესებითი. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

### ექიმი ი. გ. ძონიევი.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

### ექიმი გ. დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის-ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—12 ნახ. საათამდე, სად. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ნიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38.

### ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

### ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

### დ ხარჩენკოში ექიმის თანაშემწე მ. ზ. ლაშხი

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

**იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ბაბარინა-ლაშხი** ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

### ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სად. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

### ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

# ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ მას ქალაქის სხვა და სხვა რაიონში და ქალაქის გარე უბნებში (სადგურის იქითა რაიონი, ლოტკის გორა, დიდუბე და სხვ.) ესაჭიროება სადგომი ალაგი სასწავლებლებისათვის. შენობაში უნდა თავსდებოდეს აგრეთვე სასწავლებლის გამგის ბინაც. (2—3 ოთახი).

კლასების სივრცე უნდა უდრიდეს 11—12 არშ. და 7—8 არშინს. კლასების რაოდენობა 3-დან 8-დე და მეტიც, ამასთან სამასწავლებლო და საექიმო ოთახები და სხვ.

განცხადებები მიიღება ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში (ერევნის მოედანი). 3—3

# თევზი იყიდება ყოველ-გვარი

მეტათ ხელსაყრელ ფასებში, როგორც პარტიობით აგრეთვე გირვანქობლივ. პირობების გაგება შეიძლება ახლად გახსნილ რკინის-გზის სასურსათო მაღაზია-საწყობში—ვოგზლის ქუჩა რკინის-გზის სამმართველოს გვერდით.

აქვე შეიძლება შეიძინოთ საუკეთესო ხარისხის სილოტკა. ქერჩისა და ასტრახანისა ტომატი პიურეზეთის ხილი „პიკული“ და სხვა. 3—2